http://www.tsu.ge/newspaper

ალმა მატერ უნივერსიტეტი

28 მაისი
ორშაბათი
N14 (2059)
2007 წელი

გაზეთი გამოდის
თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი

რატომ უნდა ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობა 26 მაისს

ისტორიკოსის არგუმენტი



1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო. ამ სამართლებრივმა დოკუმენტმა განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღიარება XX საუკუნის ბოლოს.

რა ისტორიული მოვლენები უძღოდა წინ დამოუკიდებლობის აქტის მიღებას? ვინ იყო ამ მოვლენის შემოქმედი და რა პოლიტიკური ვითარება არსებობდა საქართველოს ირგვლივ? ამ საკითხებზე გვესაუბრება ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ბურული:**

მაია ტორაძე

— ბატონო ვახტანგ, როგორ მივიდა საქართველო 1918 წლის 26 მაისამდე?

— 1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა 117 წლიანი ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. ეროვნული მოძრაობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად დაიწყო იმ დროიდან, რაც 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და 1801-02 წლებში ქვეყნის ოკუპაცია მოხდა.

ეროვნულმა მოძრაობამ გაიარა რამდენიმე ეტაპი: პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო XIX საუკუნის დამდეგის ეროვნული აჯანყებები: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-20 წლის აჯანყება იმერეთსა და გურიაში. ეს აჯანყებები ჩაახშეს, მაგრამ მათ თვალსაჩინო გახადეს, რომ ქართველი ერი არ შეეგუებოდა სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

მე-4 გვერდზე

26 მაისის სამხედრო აღლუმში თსუ-ის სტუდენტმა-რეზერვის-ტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 500-ზე მეტმა პირველი გაწვევის რეზერვისტმა სტუდენტმა პირველად მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებმა აღლუმზე სამხედრო მანქანებით ჩაიარეს. ეს ის სტუდენტური ბატალიონი გახლდათ, რომელიც ორი თვის წინ უნივერსიტეტმა სხვადასხვა სამხედრო ბაზაზე ზეიმით გააცილა.

საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში რეზერვისტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოხატოს მზადყოფნა სამშობლოს სამსახურისთვის. პირველი სტუდენტური ბატალიონისათვის პირველი „განგაში“ სააღლუმო გამოდგა. ეს კარგის ნიშანია. ვისურვოთ, რომ საქართველოს მათი სამსახური მხოლოდ საზეიმო აღლუმებში დასჭირდეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო აღლუმის მიმდინარეობისას განსაკუთრებული სითბოთი მიმართა რეზერვისტებს და აღნიშნა, რომ საქართველოს უახლოეს ხანში 100 000 რეზერვისტი ეყოლება.

აღლუმზე 14 575 სამხედრომ, საქართველოს შეიარაღებული ძალების 11 075 ჯარისკაცმა და 3 500 რეზერვისტმა ჩაიარა.

რუსთაველის გამზირზე გამართულ აღლუმს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და მსოფლიოს 40 ქვეყნიდან ჩამოსული ქართული დიასპორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ანონსი

„ერთხელ საქართველოში“
ამერიკიდან მკვლელები-სადმი თანაგრძნობის სინდრომს ნუ ჩამოვიტანთ
ÌÄ-3 ÂÅ.

Zero tolerance! – არის კი გამოსავალი?
რას წერს საზღვარგარეთის პრესა
ÌÄ-9 ÂÅ.

რა მოხდა სამყაროს წარმოქმნისას დიდი აფეთქების პირველ წამებში?
ATLAS-ის დიდი ექსპერიმენტი
ÌÄ-7 ÂÅ.

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი პლანეტა მარსის გამოკვლევას იწყებს
ÌÄ-8 ÂÅ.

თსუ-ში გამართულმა სიმპოზიუმმა ხელი შეუწყო ჰუმბოლდტის ოჯახის ქსელის განვითარებას
ÌÄ-6 ÂÅ.

„გაქვავებულმა მზერამ“ ლევან ბრეგაძის პრიზი მოიგო
პოეზიის კვირეული
ÌÄ-11 ÂÅ.

„იყავით უკეთესნი, ვიდრე დღეს ხართ“
გიორგი ჯიბლაძის ტახსენება
ÌÄ-10 ÂÅ.

ტასისის პროექტის კონკურსი
ÌÄ-6 ÂÅ.

სანთლებად დანთებულ საქართველოს თსუ-ის სტუდენტებმა აფხაზეთის დაბრუნება ჩაუთქვეს

შურთხია გეროშვილი

როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზეთის კვირეული გამოცხადდა, გაჩნდა კითხვა: — ღონისძიება რომელიმე განსაკუთრებულ თარიღს ხომ არ ეძღვნებოდა? სტუდენტების პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: — აფხაზეთი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს! სტუდენტთა თვითმმართველობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიერ დაგეგმილი თითოეული შეხვედრა თუ სემინარი თავისი ფორმითა და შინაარსით საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. „კვირეულის“ ყოველი დღე დატვირთული გახლდათ ტკივილითა და ემოციით. როგორც პროექტის ავტორებმა, ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა — ანა ბაქანიძემ და ავთო აბდუშელიშვილმა გვითხრეს, თავდაპირველად ღონისძიება დებატების ფორმატით იყო გათვალისწინებული, მაგრამ გზადაგზა ახალი იდეები დაიბადა. **„გადავწყვიტეთ, უფრო ღრმად ჩავძიებოდით პრობლემას. ჩვენი საზოგადოება რატომღაც ინდიფერენტული გახდა, ახალგაზრდობამ კი აფხაზეთზე ბევრი რამ არ იცის. დუმილის უფლება არ გვაქვს, ჩვენ უნდა „ვაიძულოთ“ ყველა, მეტად ვიზრუნოთ აფხაზეთზე. ჩვიდმეტი ღონისძიება, რომელიც ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდა, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა“,** — განაცხადა ანა ბაქანიძემ.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა სტუდენტების ამ ინიციატივას და დისკუსიაზე შეკრებილ ახალგაზრდებს თავისი მოსაზრება გაუზიარა. მან ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის აღდგენა დიალოგის ფორმით. მისი თქმით, აფხაზი ხალხი სწორედ რომ მაღალი კულტურის მატარებელია და გაუგებარი და სამწუხაროა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა დიალოგის ფორმას გასცდა. მისი აზრით, შიში ყველაზე ცუდი არგუმენტია არგუმენტთა შორის.

მე-5 გვერდზე

უნივერსიტეტი გურამ შარაძის მიერ დაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმის საქმიანობას კიდევ უფრო განავითარებს

25 **მაისს** „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის წევრმა ნესტან კირთაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსში განთავსებულ, გურამ შარაძის მიერ დაარსებულ ემიგრაციის მუზეუმს გაუქმება და ფასდაუდებელ დოკუმენტებს ქუჩაში გაძევება ემუქრება. „ხელისუფლებას ამ მუზეუმის გაუქმება უნდოდა. შარაძე მოკლულია, მუზეუმი კი მალე ქუჩაში იქნება გაძევებული“, — განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისივე ინფორმაციით, მან და მისმა თანამოაზრეებმა „მსოფლიოს ყოველთა ქართველთა კონგრესსა“ და იუნესკოს მიმართეს დახმარებისათვის, რათა ემიგრაციის მუზეუმი არ გაუქმდეს.

ლეიბორისტული პარტიის წევრის ეს განცხადება ყოვლად უსაფუძვლოა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა თუ ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გულნაზი გალდავას თქმით, უნივერსიტეტში დაარსებულ ემიგრაციის მუზეუმს საფრთხე არ ემუქრება. „პირიქით, უნივერსიტეტი ყველა სამუზეუმო მიმართულების განვითარებას აპირებს და ამ კუთხით ბევრი საინტერესო გეგმებიც გვაქვს“, — აღნიშნა გულნაზი გალდავამ.

„უნივერსიტეტი ყოველთვის უფრთხილდებოდა კულტურულ და ისტორიულ ფასეულობებს, უვლიდა მათ, სათანადოდ სწავლობდა და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა ამ ტრადიციების გამგრძელებელია. დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, რაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ითვალისწინებს. ამ კონტექსტში მოიაზრება საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ემიგრანტების მიერ უნივერსიტეტისთვის, მაშასადამე, ქართველი ხალხისთვის გადმოცემული ემიგრანტული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაც. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს ქართული ემიგრაციის მუზეუმისა და მასში დაცული კოლექციების მრავალმხრივი შესწავლა და მისი სასწავლო პროცესში გამოყენება. ამ მუზეუმში დაცულ კოლექციას არანაირი საშიშროება არ ემუქრება. გურამ შარაძის ღვაწლის დაჯნინებას უნივერსიტეტში არავინ აპირებს. პირიქით, არსებობს იდეა, რომ ამ კოლექციას გურამ შარაძის სახელი მიენიჭოს“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გურამ შარაძის ოპონირებას უნივერსიტეტი არაკორექტულად არასდროს გამოხმაურებია.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ სააგენტო „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: — „ის დამსახურება, რომელიც ბატონ გურამ შარაძეს მეცნიერების წინაშე მიუძღვის, ყველასათვის ცნობილია და უნივერსიტეტიც მას სათანადო პატივს მიაგებს“. რექტორის თქმით, ქართული ემიგრაციის მუზეუმში ძალიან საინტერესო ექსპონატებია დაცული და უნივერსიტეტი ახლო მომავალში ქართული ემიგრაციის მუზეუმის საქმიანობას კიდევ უფრო განავითარებს.

24 მაისს ტრაგიკულად დაღუპული გურამ შარაძის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში გადასვენებამდე უნივერსიტეტის ეზოში დაასვენეს.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“

თსუ-მ 10%-ის ნაცვლად მაგისტრანტთა 27% დააფინანსა

19 **მარტს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლა ყველა მიმართულებით დაიწყო. როგორც სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ სვანაძემ განაცხადა, I სემესტრი 30 ივნისს დასრულდება, ხოლო გამოცდები 1-დან 14 ივლისამდე ჩატარდება.

მაგისტრატურაში სწავლის დაწყებას წინ უძღოდა ვნებათაღელვა მაგისტრანტთა დაფინანსებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე მონაცემები უკვე დაჯამებულია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის გამოცდებზე დადებითი შეფასება, ე.ი. 50 ქულაზე მეტი მიიღო 594-მა ახალგაზრდამ. რეგისტრაცია გაიარა 444-მა.

მერაბ სვანაძის განმარტებით, უნივერსიტეტმა თავისი ფონდიდან 100% — ით დააფინანსა 112 მაგისტრანტი, 66%-ით — 3; 33%-ით — 3; სულ უნივერსიტეტმა დაფინანსა 118 მაგისტრანტი, რაც საერთო რაოდენობის 27 %-ია.

„მისაღები გამოცდის წინ უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ დააფინანსებდა 10%-ს, რეალურად დაფინანსა ჩარიცხულთა 27%. გათვალისწინებულია, რომ უნივერსიტეტი სემესტრული მაჩვენებლების მიხედვით სწავლასა და კვლევაში გამორჩეული მაგისტრანტების კიდევ 30%-ს დაფინანსებს. განმსაზღვრელი იქნება სპეციალური დებულება, რომელიც შემუშავების პროცესშია.

ამასთან, მაგისტრანტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსშიც რომელშიც პროექტების წარდგენის ბოლო ვადაა 22 ივნისი“, — აღნიშნა სვანაძემ.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება მომავალ სასწავლო წელს მაგისტრატურაში ახალი ნაკადის მისაღებად. ასევე მიმდინარეობს მზადება დოქტორანტურაში მიღებისათვის.

სიღნაღის ფილიალის სტუდენტები თსუ-ში იაფად ისწავლიან

ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილიალების სტატუსის შეცვლის საკითხი. ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ უქმდება ან სწავლების მიმართულებას იცვლის სხვადასხვა რეგიონში არსებული ფილიალები, ადგილობრივი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ვნებათაღელვა გამოიწვია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ საკითხებზე სწორედ ახლა მუშაობს, ამიტომ ყველა ფილიალის ბედი ჯერ გარკვეული არ არის.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას შეწყვეტს თსუ-ის სიღნაღის ფილიალი.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ფილიალის მთლიან კონტინგენტს — 642 სტუდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას სთავაზობს, სადაც მათ ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვის გარეშე მიიღებენ, სწავლის ღირებულების შენარჩუნებით. რექტორის აზრით, ეს არის ძალიან კარგი შანსი იმისა, რომ სიღნაღელმა სტუდენტებმა მიიღონ მაღალი დონისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება გაცილებით ნაკლებ ფასად, ვიდრე თსუ-ის სტუდენტები იხდიან.

სიღნაღის ფილიალის სტუდენტთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანის შესახებ გადაწყვეტილება I-II-III კურსის სტუდენტებს ეხება. ისინი თსუ-ში სწავლას გააგრძელებენ შესაბამის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე, რომელზეც სიღნაღში სწავლობდნენ.

რექტორის აზრით, ეს შეთავაზება მისაღები იქნება სტუდენტებისა და მათი მშობლებისთვის, რადგან ამოსავალი უნდა იყოს სურვილი, რომ ახალგაზრდამ მაღალი სტანდარტის შესაბამისი განათლება მიიღოს, რის პერსპექტივასაც მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს.

— განათლების მიღების უფლება არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდამ აუცილებლად, იქვე, სამეზობლოში უნდა ისწავლოს. მთავარია განათლების ხარისხი. ჩვენ არ გვინდა მოვატყუოთ მშობელი და არ გვინდა მოვიტყუოთ თავი. ყველამ ვიცით, რომ, ზოგადად, განათლებაში არსებობს პრობლემები და ეს პრობლემები რეგიონებში გაცილებით უფრო მწვავედ არის წარმოჩენილი, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

სიღნაღის ფილიალთან მიმართებაში განიხილება კიდევ ერთი მოსაზრება. სავარაუდოდ, სიღნაღში დაფუძნდება კოლეჯი და განხორციელდება პროფესიული უმაღლესი განათლების ცალკეული პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება დასაქმების კონკრეტულ ამოცანებზე და რეგიონის მოთხოვნებზე. სტუდენტებს კოლეჯში მიღებული კრედიტები ჩაეთვლებათ ბაკალავრიატის საფეხურზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოისურვებენ, სწავლა გააგრძელონ სხვა უმაღლეს სასწავლებელში ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიული უმაღლესი განათლების სისტემა ახალგაზრდას აძლევს ალტერნატიულ შესაძლებლობას — თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით, ან შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსაზღვროს და აარჩიოს, სად გააგრძელოს სწავლა — უნივერსიტეტში თუ პროფესიულ უმაღლეს სასწავლებელში.

„18 მაისი, 18 ქართველი მხატვარი“

თსუ-ს მუზეუმს ძვირფასი ექსპონატები უსახსოვრეს

18 **მაისს** მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა თსუ-ის სამუზეუმო სამსახურის ფონდში დაცული ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, გოგი ალექსი-მესხიშვილის, ელენე ახვლედიანის, ედმუნდ კალანდაძის, ბარბარე ბებუთოვა-გაბუნიას, ომარ კაჭკაჭიშვილის, სევერიან მაისაშვილის, ქეთევან მატაბელის, ირაკლი ოჩიაურის, ერეკლე ფარჯიანის, თეიმურაზ ყუბანეიშვილის, გიორგი ხუციშვილის, ჯიბსონ ხუნდაძის, ლევან ცუცქირიძის, თემურ ჯაფარიძის, ლევან ჭოღოშვილის ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, რომლებიც უნივერსიტეტის სამუზეუმო სამსახურის ფონდშია დაცული. ამ ნამუშევართა უმრავლესობა დამთვალიერებელმა პირველად იხილა.

გამოფენის გახსნამდე თსუ-ის მუზეუმმა საჩუქრად ცნობილი მხატვრების ნამუშევრები მიიღო. თენგიზ მირზაშვილმა უნივერსიტეტს „პეიზაჟი“, ქეთევან მატაბელმა კი „ფოლიანტი“ უსახსოვრა. მუზეუმის ფონდი ისტორიული ღირებულების ექპონატებითაც შეივსო. თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, აკადემიკოსმა ნუგზარ ალექსიძემ მუზეუმს ქართული ფიზიოლოგიის სკოლის ფუძემდებლის ივანე ბერიტაშვილის ნაქონი სავარძელი უსახსოვრა, თსუ-ის გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ კი მუზეუმს მის პირად არქივში დაცული 30 ვიდეო-კასეტა გადასცა, რომელიც ჟურნალისტს სახელმწიფო ტელევიზიაში — ტელეგადაცემა „ალიონში“ მუშაობის პერიოდში დაუგროვდა. ვიდეოარქივი 1995-2002 წლების მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე დაუმონტაჟებელ ჩანაწერებს მოიცავს.

არქივი განსაკუთრებით ღირებული იქნება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

1978 წლიდან მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) ყრილობის გადაწყვეტილებით, მუზეუმების საერთაშორისო დღე მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

უნივერსიტეტისა და „სახალხო ბანკის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

10 **მაისს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ და „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს, ბანკს მიაწოდოს წარჩინებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სია. ბანკი გამოხატავს კეთილ ნებას და ვალდებულებას იღებს, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, შეარჩიოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები და დაასაქმოს ისინი თავის საბანკო ქსელში.

„უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს დასაქმებაზე. სტუდენტებმა უნდა დაინახონ სტიმული, რათა მაღალკვალიფიციური ცოდნა მიიღონ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრამაში თსუ-ის რეგიონული ფილიალებიც იქნებიან ჩართული“, — აღნიშნა მემორანდუმის გაფორმებისას თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

„სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის თქმით, „სახალხო ბანკი“ და მისი შვილობილი კომპანიები დაინტერესებულნი არიან 1000-მდე ახალი კადრის შერჩევით. ამ პროცესში ბანკის მხრიდან მთავარი მოთხოვნა ცოდნა, ინტელექტუალური დონე და კრეატიულობაა“.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

„ჯი პი აი ჰოლდინგი“ თსუ-ის სტუდენტებს სამსახურს სთავაზობს

22 **მაისს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგის“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი ითვალისწინებს თსუ-ის ბაკალავრიატის III-IV კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების დასაქმებას სადაზღვევო აგენტის თანამდებობაზე.

კონკურსისათვის საჭირო სააპლიკაციო ფორმების შევსება და ჩაბარება 28 მაისამდე გაგრძელდება. საკონკურსო მოთხოვნებია: სრულყოფილი სასაუბრო და წერა-კითხვის უნარები, კომპიუტერთან მუშაობის უნარი, კომუნიკაბელურობა, კარგად განვითარებული ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, დამოუკიდებლად და გუნდში მუშაობის უნარი, სასურველია გაყიდვების სფეროში ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაო გამოცდილება. საბუთების საფუძველზე „ჯი პი აი ჰოლდინგი“ იმ კანდიდატებს შეარჩევს, რომლებსაც სარეკლამო აგენტის თანამდებობაზე გასაუბრების წესით შეარჩევენ.

კონკურსის შემდეგ გათვალისწინებულია ტრენინგი, რის შემდეგაც სტუდენტები „ჯი პი აი ჰოლდინგის“ თანამშრომლები გახდებიან.

პრეზენტაციაზე სადაზღვევო და საპენსიო კომპანიის წარმომადგენლებმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხეს და ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს კომპანიის შესახებ. „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ერთერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა, რომლის დამფუძნებელია ავტორიტეტული საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია — „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

გაიმარჯვეს თსუ-ის ფეხბურთელებმა

სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის კურთხევით დაარსებულმა კლუბმა „ტაძარმა“ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად გამართა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების საფეხბურთო ტურნირი, რომელიც 22 მაისს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სტადიონზე თსუ-ისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ნაკრები გუნდების ფინალური ასპარეზობით დასრულდა.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 9:3 დამთავრდა.

გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელებს თასი „ტაძრის“ წარმომადგენლებმა გადასცეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, თსუ-ის გუნდის წევრი ილია ქემაშვილი სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

„ერთხელ საქართველოში“

ამერიკიდან მკვლელებისადმი თანაგრძნობის სინდრომს ნუ ჩამოვიტანთ

თუ მოზარდმა იცის, რომ წარმატების მიღწევისთვის მგელი უნდა გახდეს, მგელი გახდება

ქეთევან ჩიგოგიძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი:

— აგრესია, რასაკვირველია, დაკავშირებულია ძალადობასთან, მაგრამ ყოველთვის კრიმინალური აქტით არ მთავრდება. ის შეიძლება გამოვლინდეს ყვირილში, უცენზურო სიტყვებში, ელემენტარულ უზრდელობაში, რასაც მოჰყვება ასოციალური ქცევები — ფანჯრებისა და მერხების მტვრევა. შემდეგ ეს ქმედება კიდევ უფრო ძლიერდება და შეიძლება მივიდეს კრიმინალურ აქტამდეც. რა უწყობს ამას ხელს?

არავინ ამტკიცებს, რომ ადრე ასეთი რამ არ ხდებოდა — აგრესია ყველა თაობაში იყო აკუმულირებული, მაგრამ განტვირთვის საშუალებაც მეტი იყო. დღეს, მართალია, სათამაშო მოედნები და გასართობი ცენტრები კეთდება, მაგრამ, რეალურად, ძალიან ცოტა ბავშვს აქვს იმის საშუალება, რომ იაროს აუზზე, სპორტის რომელიმე სახეობაზე და ენერგია დახარჯოს. ეს ტრადიცია მოიშალა. თუ დაკვირდებით, ვინც აქტიური სპორტით არის გატაცებული, იშვიათად ხვდება კრიმინალთა შორის. იმის თქმა მინდა, რომ ბავშვები დაკავებულები არ არიან. მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში საერთოდ არ დადის, შესუსტებულია დისციპლინა, რაც მოსწავლის ქუჩაში ყოფნას ხელს უწყობს.

შეცვლილია ღირებულებათა სისტემაც. ხშირად ვსაუბრობ ჩემი მეგობრების შვილებთან და მათგან ვიცი, რომ დღეს კარგი ბიჭის ცნება სხვა რაღაცას ნიშნავს — ეს არის ე.წ. „მაგარი ბიჭი“, რომელსაც შეუძლია დაიცვას შეყვარებული ან საკუთარი პრინციპები აგრესიით — დანით ან სხვა



იარაღით. იმ(ებ)1ნაღითნდა,1.2.6(7-)ზე რა24.3ზ თქმა მიძ-

რატომ უნდა ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობა 26 მაისს?

ინტერვიუ ისტორიკოს ვახტანგ გურულთან

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომა. 1918 წლის 26 მაისი

პირველი გვერდიდან

პრაქტიკულად, ეს იყო არა მარტო ავჯანყება, არამედ ომი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომელშიც ჩვენ დავმარცხდით.

ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპი წარმოდგენილია 1832 წლის შეთქმულებით. ეს უკვე თვისობრივად ახალი ეტაპია თავისი წინასწარ მომზადებული პროგრამით, სტრატეგიითა და ტაქტიკით. ამ შეთქმულებამ ეროვნული მოძრაობა გადაიყვანა ინტელექტუალური ბრძოლის გზაზე. გამოიკვეთა, რომ მას სათავეში უდგას ქართული არისტოკრატია.

მესამე ეტაპი იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან. „თერგდალეულთა“ მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე, ყველაზე უფრო ხანგრძლივი და შედეგიანია ეროვნული მოძრაობის წინა პერიოდებთან შედარებით. „თერგდალეულებმა“ ქართველი ერი პრაქტიკულად მოამზადეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ეს პროცესი თითქმის ორმოცი წლის მანძილზე მიმდინარეობდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში ყველაფერი მზად იყო, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლა დაწყებულიყო, მაგრამ რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირება ყველა შემთხვევაში ძნელი იქნებოდა — ეს უზარმაზარი იმპერია თრგუნავდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ცივილიზებულ ევროპას, თუმცა 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერია აღსასრულამდე მიიყვანა — 1917 წლის თებერვალ-მარტში რომანოვების პოლიტიკურმა რეჟიმმა არსებობა დაასრულა. ამით ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადავიდა.

— რა კონკრეტული მოვლენები უძღოდა წინ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს?

— 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთმა საქართველოში გავლენა დაკარგა. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის მარტში დანიშნული ხელისუფლების სამხარეო ორგანო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სამხარეო ხელისუფლებას ვერ ახორციელებდა, ქვეყანაში ყველაფერს წყვეტდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ძალები — პარტიები, ორგანიზაციები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა დემოკრატიული ორგანო იყო და მას არ უცდია რეპრესიების გზით საქართველოში თავისი იურისდიქციის რეალურად აღდგენა. ქართული ეროვნული მოძრაობაც მოდუნებული იყო. არც ის ცდილობდა წამოეყენებინა ლოზუნგი და რეალურად დაეწყო საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისთვის ბრძოლა. რით იყო ეს გამოწვეული? იმით, რომ იმ პერიოდში საზოგადოებას რუსეთი არაფრით აწუხებდა — აღარ იყო მეფე, პოლიცია, ჟანდარმერია, ოხრანკა, აღარავინ დევნიდა ქართულ ენას, კულტურას, პოლიტიკურ მოღვაწეებს, ქართულ სამღვდელოებას. ეს მდგომარეობა გაგრძელდა მანამ, სანამ თავად რუსებმა არ გამოიყვანეს ქართული საზოგადოება ამ ეიფორიიდან.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის დროებითი მთავრობა დაამხო და ძალაუფლება ხელში აიღო ბოლშევიკურმა პარტიამ. რუსეთში დამყარდა საბჭოთა დიქტატორული წყობილება, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვლადიმერ ლენინი. ამის შემდეგ ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა დააყენეს საკითხი — დემოკრატიული რეჟიმის არსებობის დროს თუ რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრება რაღაცა ფორმით მაინც მისაღები იყო, ახლა ეს უკვე დამღუპველი იქნებოდა ქართველი ერისათვის და დაიწყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამიერკავკასიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, სადაც ლიდერობდნენ ქართველები, პირველი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ გაემიჯნენ საბჭოთა რუსეთს. 1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში მოქმედება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ ქართველი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. სამხარეო ხელისუფლება იმიტომ შექმნეს, რომ ლენინს არ დაენიშნა ახალი ორგანო, თუმცა დამოუკიდებლობაზე ჯერ მაინც არ ლაპარაკობდნენ არც საქართველოში, არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში. ამას თავისი ახსნა აქვს: — ძალიან დიდი საფრთხე არსებობდა რუსეთის არმიის მხრიდან, რომელიც თურქეთის ფრონტზე იდგა და ყველამ კარგად იცოდა, რომ თუ საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, ამას აუცილებლად მოყვებოდა ომი და სისხლისღვრა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა უშუალოდ განსაზღვრა საქართველოს I-მა ეროვნულმა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს. პოზიცია ასეთი იყო — თუ რუსეთი დაადგებოდა დემოკრატიის გზას, ანუ თუ ბოლშევიკები დაემხობოდნენ და ძალაუფლებას ჩამოცილდებოდნენ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა რუსეთთან საქართველოს თანაარსებობაზე საუბარი, მაგრამ თუ ბოლშევიკური რეჟიმი დარჩებოდა, უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს ეგონა, ორ-სამ კვირაში ბოლშევიკები აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა, ისინი დარჩნენ ხელისუფლებაში და სამაგიერო გადაუხადეს ქართველებს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისათვის — 1918 წლის იანვარში კავკასიის არმიას მთელი ამიერკავკასიის და, მათ შორის, საქართველოს ოკუპაციის ბრძანება მისცეს, მაგრამ ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს გეგმა ჩაშალეს და ახლადშექმნილმა ქართულმა ჯარმა რუსები თბილისის მისადგომებიდან ბაქოს მიმართულებით უკუაქცია.

უფრო დიდი ვერაგობა ჩაიდინა საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში. გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან — თურქეთთან, ავსტრია-უნგრეთთან და ბულგარეთთან დადებული ზავის შედეგად, თურქეთმა, როგორც გერმანიის მოკავშირემ, ომში დაღვრილი სისხლის საფასურად კომპენსაცია მოითხოვა. რუსეთმა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები დაუთმო. ასე რომ, რჩებოდა ორი გზა: ან საბჭოთა რუსეთი საქართველოს ისევ აქცევდა ორ გუბერნიად, ან უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ ბრძოლაში მოკავშირედ იპოვეს გერმანიის იმპერია, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პოლიტიკური და სამხედრო გარანტი იყო. უნდა ითქვას, რომ გერმანელებმა თავისი დაპირება პირნათლად შეასრულეს. ჩვენ მათ აგვაცილეს როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე, კიდევ უფრო საშიში და რეალური, თურქეთის აგრესია. პოლიტიკურ და სამხედრო მოკავშირის ფუნქციას გერმანია ასრულებდა მანამ, სანამ I მსოფლიო ომში არ დამარცხდა.

— ბატონო ვახტანგ, ცნობილია, რომ 1918 წლის 26 მაისის წინა პერიოდში ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი ბათუმიდან დაჯინებით ითხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასწრაფოდ გამოცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. რატომ დააჩქარა მან ეს პროცესი?

— აკაკი ჩხენკელი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში და ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ერთერთი ყველაზე ეროვნული მოღვაწე იყო. როდესაც 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, თურქეთმა ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები მიიღო, ამიერკავკასიის კომისარიატმა ეს გადაწყვეტილება არ ცნო და განაცხადა, რომ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების თურქეთისთვის გადაცემის უფლება არავის ჰქონდა, რადგან არსებობდა სამხარეო ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოები — ამიერკავკასიის კომისარიატი და ამიერკავკასიის სეიმი. ამ განცხადების შემდეგ თურქეთი სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და დათანხმდა მოლაპარაკებას, რომელიც 1918 წლის მარტში ტრაპიზონში გაიმართა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით.

ამ შეკრებაზე გაცხადდა თურქეთის პოზიცია — ვინაიდან ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, მას არ ჰქონდა უფლება, აზრი გამოეთქვა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თაობაზე და ზავის პირობები დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებინა.

დელეგაცია უკან დაბრუნდა. თურქეთი შეტევაზე გადმოვიდა. მისმა ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, მოვიდნენ ოზურგეთამდე, მაგრამ შემდეგ ისევ უკან დაბრუნდნენ და ფრონტი ჩოლოქის ხაზზე გაასწორეს..

რადგან თურქების მთავარი არგუმენტი იყო, რომ ამიერკავკასია არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, თბილისში მოილაპარაკეს და 1918 წლის 22 აპრილს გამოცხადდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ისევ შედგა დელეგაცია და თურქეთთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა, თუმცა ამჯერად მათ ტრაპიზონში ჩასვლა აღარ დასჭირდათ, რადგან თურქეთს ბათუმი დაკავებული ჰქონდა და ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით, იქ მიიწვია.

1918 წლის 11 მაისს გაიხსნა ბათუმის კონფერენცია, რომელზეც აკაკი ჩხენკელმა წამოაყენა ახალი არგუმენტი: — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დამოუკიდებელია და ვისაუბროთ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყნებმა. თურქმა პოლიტიკოსებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მათი არგუმენტი ასე ჟღერდა — 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების დროს, არ იყავით დამოუკიდებელნი. ამიტომ თქვენ უფლება არ გაქვთ, გამოთქვათ აზრი ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, მისი შეცვლის, ან შესრულების წესის შესახებ. თურქეთი აშკარად იმუქრებოდა მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციით.

საქართველო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა — თურქეთმა დაიპყრო სომხეთის ორი მესამედი, შეიჭრა საინგილოში, მათი ჯარის ერთი ნაწილი ჩოლოქზე იდგა, მეორე — ბორჯომთან, დაუცველი იყო ქუთაისი და ფოთი... მიუხედავად ამისა, მასთან ბრძოლას პერსპექტივა არ ჰქონდა, რადგან ამიერკავკასიის რესპუბლიკაში შემავალი სამივე ერი სხვადასხვა პოზიციაზე იდგა: საქართველო გერმანელებს თხოვდა დახმარებას, სომხები — ინგლისელებს, ხოლო აზერბაიჯანელები ომს არ აპირებდნენ, რადგან მათი პოლიტიკური ელიტა თურქოფილური იყო და თურქების აქ მოსვლას დიდ ტრაგედიად არ მიიჩნევდა.

სიტუაციის შეფასების შემდეგ, გენერალმა ოტტო ფონ ლოსოვმა, რომელიც გერმანიის წარმომადგენელი იყო, ბათუმის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელს შესთავაზა, დაეშალათ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც სამი სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ერი იყო გაერთიანებული და საქართველოს გერმანია დაეხმარებოდა.

ეს რჩევა აკაკი ჩხენკელს ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ გაუჭირდა თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს დარწმუნება. ჩხენკელი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ითხოვდა, თბილისი კი კითხვებს სვამდა: — რა მნიშვნელობა აქვს თურქეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაგვიპყრობს თუ გამოცხადების შემდეგ? დამოუკიდებლობა რაში შეუშლის ხელს თურქეთის აგრესიას? ამ შეკითხვებს აკაკი ჩხენკელი საკმაოდ ჭკვიანურად პასუხობდა — თუ ჩვენ თურქეთმა დაგვიპყრო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ჩაითვლება, რომ თურქეთმა ორი გუბერნია წაართვა რუსეთს. თუ დაგვიპყრო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩაითვლება, რომ თურქეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი სახელმწიფო. პირველ შემთხვევაში კონფლიქტი მოხდება თურქებსა და რუსებს შორის და საკითხი მათ შორის მოგვარდება, მეორე შემთხვევაში კი კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათისაა და უნდა გადაჭრას საერთაშორისო თანამეგობრობამ. რა თქმა უნდა, ჯობდა დამოუკიდებლობის გამოცხადება და თუ თურქეთი დაგვიპყრობდა, მეტი შანსი გვქონდა დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ბოლოს და ბოლოს, თბილისში დარწმუნდნენ ამ მოსაზრების მართებულობაში. 1918 წლის 26 მაისს შეიკრიბა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სეიმი, დაშლილად გამოაცხადა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო და იმავე დარბაზში (კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენცია რუსთაველის პროსპექტზე, დღევანდელი მოსწავლეთა სასახლე) გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა.

დამთავრდა თუ არა ეროვნული საბჭოს სხდომა, მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს ყველა ქვეყანას ამცნო მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა.

— საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ 26 მაისის მნიშვნელობა 70 წლით მიჩუმათდა. როგორ შეაფასებდით ამ თარიღის მნიშვნელობას თითქმის საუკუნის გადასახედიდან?

— 1918 წლის 26 მაისის მნიშვნელობა საქართველოსთვის წარმოუდგენლად დიდია. მართალია, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება და არსებობა 1921 წლის თებერვალ-მარტში შეწყვიტა, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც, მსოფლიოს თანამეგობრობაში დავმკვიდრდით, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. რუსეთმა დაგვიპყრო და ძალით შეგვიყვანა ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში და შემდეგ საბჭოთა კავშირში, მაგრამ ეს წინა ისტორიას ვერ ცვლიდა — ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელი სახელმწიფო და მსოფლიომ აღიქვა 1921 წლის ომი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია, მისი ოკუპაცია და დამოუკიდებლობის მოსპობა. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირს რაც არ უნდა გაეკეთებინა, ვერ წაშლიდა ისტორიულ ფაქტს, რომ 1918 წლის 26 მაისს სრულიად სამართლიანად აღვიდგინეთ დამოუკიდებლობა, რომ 1919 წელს ავირჩიეთ დამფუძნებელი კრება, რომ 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კონსტიტუცია. მაშინ ჩვენ უკვე მსოფლიო თანამეგობრობის ნაწილი ვიყავით და, რაც მთავარია, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებლობა თვით საბჭოთა რუსეთმა ცნო.

1918 წლის 26 მაისი იყო მოვლენა, რომელმაც განსაზღვრა მთელი ჩვენი ეროვნული მოძრაობა და შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი მისცა მას XX საუკუნის მეორე ნახევარში.

— ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ უნდა მიიჩნიოს არა 26 მაისი, არამედ 9 აპრილი. თქვენი აზრით, რომელი თარიღის აღნიშვნაა ლოგიკური და მართებული?

— რა თქმა უნდა, ორივე დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ როცა ორიდან ერთი უნდა აირჩეს, ამ შემთხვევაში მე მხარს ვუჭერ 26 მაისს, თუმცა ეს ოდნავაც არ აჯნინებს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის და მისი შემოქმედი პოლიტიკოსების დამსახურებას.

რატომ უნდა ვზეიმობდეთ სწორედ 26 მაისს?

როდესაც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, დიდი პოლიტიკური ალღო გამოიჩინა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც, მასზე ზეწოლის მცდელობის მიუხედავად, სარეფერენდუმო კითხვა ასე ჩამოაყალიბა — „ხართ თუ არა მომხრე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“. ასე რომ, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის შემოქმედმა თვითონ აღიარა 26 მაისის უპირატესობა, როდესაც სარეფერენდუმო კითხვა შეადგინა და აქ უკვე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს.

გარდა ამისა, 1991 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ არსებობდნენ სსრ კავშირი, მისი პრეზიდენტი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო — ეს უზარმაზარი მონსტრები, რომლებიც მომზადებულნი იყვნენ საქართველოს გასანადგურებლად. კითხვა — ვინ ხართ? საიდან მოდიხართ? რა დამოუკიდებლობას ითხოვთ? არ უნდა გაჩენილიყო. ჩვენ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ იმას ვითხოვდით, რაც 1921 წლის თებერვალში წაგვართვეს — 1918 წლის 26 მაისს აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახლა აღდგენას.

თუ სარეფერენდუმო კითხვა 1991 წელს ასე ჩამოყალიბდებოდა „ხართ თუ არა მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობის?“, ამით ჩვენ ჩვენივე ინიციატივით ვწყვეტდით სამართალმემკვიდრეობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და მხოლოდ იმ დროიდან ვიწყებდით სახელმწიფოებრიობის ათვლას. რა თქმა უნდა, ეს ხელს არ გვაძლევდა, რადგან შედეგად ჩვენც იმ ერების რიცხვში ჩავდგებოდით, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ და 1990-იან წლებში დაიმკვიდრეს.

ამიტომ 26 მაისის მნიშვნელობა ვერაფრით დაიჩრდილება. ის უდევს საფუძვლად ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას.

სანთლებად დანთებულ საქართველოს თსუ-ის სტუდენტებმა აფხაზეთის დაბრუნება ჩაუთქვეს

პირველი გვერდიდან

„ქართველი ახალგაზრდების გულწრფელი კეთილგანწყობა აუცილებლად უნდა იგრძნოს აფხაზურმა მხარემ. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების აქტიურობა. მთავარია, გულით დავინახოთ ეს პრობლემა. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური კონფლიქტი. სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს, დიალოგი არ უნდა დარჩეს მხოლოდ პოლიტიკოსებს შორის. თქვენი სახით მათ უნდა ეგულებოდეთ მეგობრები და პარტნიორები. არ შეიძლება, რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს ჰქონდეს ის განწყობა, რომ მიზანს მხოლოდ ბრძოლით მიაღწევს. ჩვენ არანაირი საფუძველი არ გვაქვს, გვეშინოდეს ერთმანეთის. იმედია, ჩვენი ურთიერთობა დიალოგის თვალსაზრისით შედეგიანი იქნება“, — ასე მიმართა სტუდენტებს რექტორმა გიორგი ხუბუამ.

სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარემ თორნიკე ხუციშვილმა აღნიშნა: **„ეს არის ტკივილიც და პრობლემაც ერთად. ალბათ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, მაგრამ ჩემმა თაობამ უნდა მოძებნოს გამოსავალი და შეეცადოს აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებას. ვიცი, რომ აფხაზ ახალგაზრდებს სიძულვილს უნერგავენ ქართველების მიმართ, ამასთან დაკავშირებით სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას"**.

სტუდია „რე“-ს ხელმძღვანელმა აფხაზეთში მამუკა ყუფარაძემ დაადასტურა, რომ აფხაზ ახალგაზრდობაში უნდობლობის ფაქტორი არსებობს, თუმცა, მისი თქმით, იქაურ სტუდენტებს აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ქართველი თანატოლები.

„იქ ყოფნის პერიოდში სულ კითხვებს მისვამდნენ. მათაც აქვთ სურვილი კონტაქტის დამყარებისა, მაგრამ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რაც ძალიან ზღუდავთ, რათა ჩვენსკენ ნაბიჯი გადმოდგან. ეს გამომდინარეობს იმ პოლიტიკიდან, რომელიც ქართველებთან ერთად ცხოვრებას არ ითვალისწინებს. სამწუხაროდ, იმ საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მათთვის გამოსავალი დამოუკიდებელი აფხაზეთია. ამიტომ ნაკლებად მოსალოდნელია მათგან ინიციატივის გამოჩენა. ეს ისევ თქვენზეა დამოკიდებული. მათთვის ასევე გაუგებარი იყო, სამი ქართველი სტუდენტი გმირებად რატომ ვაღიარეთ. ამ ყველაფერს საფუძვლიანი ახსნა და არგუმენტები სჭირდება. ასეთ შეხვედრებს კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ეგებ, ისე დავგეგმოთ და ავაგოთ ჩვენი მოქმედების სტრატეგია, რომ აფხაზი ახალგაზრდები დავარწმუნოთ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება საშიში არ არის“, — ასე მიმართა მამუკა ყუფარაძემ სტუდენტობას.

კინორეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, აღნიშნა, რომ კონფლიქტი მანამ არ მოგვარდება, სანამ რეალობას თვალებში არ ჩავხედავთ და იმ მითებს არ დავანგრევთ, რომლითაც აფხაზეთის დაკარგვას ვხსნით. **„ერთერთი მითია ის, რომ, თითქოს, ჩვენ რუსეთთან ომი წავაგეთ. ეს ასე არ არის, ჩვენ ომი წავაგეთ სწორედ რომ აფხაზებთან. უბრალოდ, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველები დავმარცხებულიყავით. იარაღი ჩვენც და აფხაზებსაც რუსეთისგან გვქონდა ნაყიდი. სანამ ეს მითი იარსებებს, ვერ გავიგებთ აფხაზების ტკივილსა და პრეტენზიას. თავდაპირველად არ არსებობდა ქართველების იქიდან გამოყრის გეგმა — ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. სამწუხაროდ, იმ დროს, საქართველო ორ მტრულ ბანაკად იყო გაყოფილი და დაპირისპირებული. ერთმანეთს იმ მომენტშიც კი ვიმეტებდით, როცა ომი მიმდინარეობდა. ჩვენი სამხედრო მომზადება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ცალკეული დაჯგუფებები ვაუკაცობის გამოსავლენად და პირადი ინიციატივის საფუძველზე იბრძოდნენ.**

არსებობს ასევე დანაშაულის მითი. იყო ბრალდებები ერთმანეთის მიმართ. დღესაც ვერ გავერკვიეთ, ვინ არის ეს „ვიღაცა“, თუმცა მგონია, რომ ყველა ჩვენგანია დამნაშავე. უნდა დავანგრიოთ ეს მითი და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ“, — განაცხადა ხაინდრავამ.

მისი თქმით, სიმართლე და რეალობა საკითხის მოგვარებამდე მიგვიყვანს. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ტერიტორიას ვერ დავიბრუნებთ იქ მცხოვრები ხალხის გარეშე. რაც შეეხება ძალით დაბრუნებას, ეს იქნება ახალი ნგრევა და სისხლი, რომელიც არავის აღარ სურს. **„მხოლოდ მოლაპარაკებაა გამოსავალი, ეს არის დროტევადი და რთული გზა, მაგრამ გამოსავალს მხოლოდ ამაში ვხედავ“,** — აღნიშნა მან.

გიორგი ხაინდრავამ უარყოფითად შეაფასა სამი ქართველი სტუდენტის გათავისუფლებისთვის გამართული აქციები, რომელშიც საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები მონაწილეობდნენ და ამ პროცესს მართული უწოდა. დისკუსიაში მონაწილე სტუდენტებმა მტკივნეულად აღიქვეს მისი ეს განცხადება, რასაც, ბუნებრივია, მათი მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. თორნიკე ხუციშვილი შეეცადა ყოფილი სახელმწიფო მინისტრისთვის აეხსნა, რომ მათი ეს გადაწყვეტილება არავისგან იყო მართული და ასეთი დამოკიდებულება შეურაცხყოფს იმ 7 000 სტუდენტს, რომლებიც ჩოლოქთან შეიკრიბნენ და თავიანთი ნება ერთიანობის კოცონით გამოხატეს.

კავკასიოლოგიის გაკალავრიატის სტუდენტები საფუძვლიანად ეუფლებიან აფხაზურ ენას

„კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა სემინარი თემაზე: — „აფხაზები და ქართული სახელმწიფოებრიობა“. ზურაბ პაპასკირმა ისაუბრა, თუ ვინ არიან აფხაზები და რა დროიდან ცხოვრობენ ისინი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. მეცნიერმა ვრცლად მიმოიხილა აფხაზთა ტომების წარმოშობისა და ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთიანობის საკითხები. მან, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ განამტკიცა ის მოსაზრება, რომ ჩვენი ერთიანობა გარეშე მტრის მიერ ნაძალადევადაა გახლეჩილი და აფხაზი ძმა კვლავ დაუბრუნდება თავის ქვეყანას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო სემინარი-კონფერენცია — მიძღვნილი აფხაზური ენის სტრუქტურის საკითხებისადმი, რომელიც აფხაზური ენის სპეციალისტების, პროფესორების თეიმურაზ გვანცელაძისა და ნანა მაჭავარიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა. კონფერენციაში თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტები მონაწილეობდნენ. აღინიშნა, რომ ისინი საფუძვლიანად ეუფლებიან აფხაზურ ენას 15 კრედიტიანი დატვირთვით. პროფესორ ცირა ბარამიძის თქმით, მათ უკვე შესაძლებლობა აქვთ დაკვირვება აწარმოონ ამ მეტად რთული ენის სისტემა-სტრუქტურაზე. აღინიშნა, რომ აფხაზური ენის სწავლა თუ მეცნიერული კვლევა თსუ-სა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში არასდროს შეწყვეტილა, დღესაც დიდი ინტერესია აფხაზური ენისადმი, როგორც მკვლევართა შორის, ასევე სტუდენტებში. **„აფხაზური ენა 30-იანი წლებიდან ერთერთი პირველი ისწავლებოდა კავკასიურ ენათაგან. ქართულ კავკასიოლოგიურ სკოლაში არაერთი აფხაზი კოლეგა სწავლობდა. აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ აღზარდა აფხაზი ერონენების კავკასიოლოგი-ლინგვისტების მთელი პლეადა, რომლებიც დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ. ესენი არიან: ხუხუტ ბღაჟბა, ჭიმა ჭკადუა, შალვა არისთავა, ზაურ ავიძბა, ვალენტინ აკონჯარია, ნელი არშბა, ლილი ხაგბა, ემა კილბა და სხვები. სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების გამო დღესდღეობით შეწყვეტილია აფხაზი სტუდენტების ჩამოსვლა თსუ-ში. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ვითარება შეიცვლება და ქართველთა და აფხაზთა ძმობის ისტორიული მეხსიერება გაცოცხლდება, ერთი შეხედვით მოუშუშებელი იარები კეთილგონივრული, მიმტევებლური მიდგომით მოშუშდება. ამის დასტურია თსუ-ის სტუდენტთა მიერ ორგანიზებული „აფხაზეთის კვირეული“, რომელსაც ტკივილსა და სინანულთან ერთად დიდი იმედი ფარავს. სტუდენტები აფხაზთა და ქართველთა შორეულ თუ უახლოეს ისტორიას განიხილავენ იმისათვის, რომ იპოვონ შეცდომათა სათავე, წყაროსთავი გაწმინდონ და მოახერხონ შემდგომში სწორი ნაბიჯების გადადგმა. იმედი მაქვს, რომ ეს ღონისძიება აფხაზი ახალგაზრდების გულში, ნაცვლად შურისძიებისა, ჩანერგავს სიყვარულის გრძნობას — მომმე სულისმიერი და ხორცისმიერი ნათესავის მიმართ“,** — აღნიშნა ცირა ბარამიძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ საჭიროა და კონსტიტუციაც მოითხოვს — სახელმწიფო მოხელემ იცოდეს აფხაზური ენა. მან გამოთქვა მზაობა, ენის შესწავლის თვალსაზრისით უნივერსიტეტში ხელი შეუწყოს ახალ ინიციატივებს.

ვისია ეს მიწა? ღმერთისო! – უპასუხია მამა ანდრიას

აფხაზეთის ერთერთი ულამაზესი სოფელი კომონი წმიდა ადგილია. იგი სოხუმიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. მას ჩრდილოეთით მდინარე გუმისთა ჩამოუდის, ირგვლივ კი მთები აკრავს. აქ აწამეს წმიდა მოწამე ვასილისკო, რომლის წამების ადგილას დღესაც მოჩქეფს სასწაულმოქმედი წყარო. აქ მიაბარა სული უფალს წმიდა იოანე ოქროპირმა. აქ, მიუვალ მთებში, მესამედ გადამალეს იოანე ნათლისმცემლის თავი.

მეუფე დანიელის რეკომენდაციითა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვაკურთხევით კომონის წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად მღვდელ-მონაზონი ანდრია დაინიშნა. 1993 წელს კომონში მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მამა ანდრიას ერთი დღეც არ მიუტოვებია ეკლესია. დაჭრილებით იყო სავსე ეკლესიის ეზო. სოფელი დაეცა. აქ დარჩენილი 35 კაცი და დაჭრილები მამა ანდრიამ აზიარა. მალე აფხაზებიც გამოჩნდნენ. მღვდელ-მონაზონი ტაძრიდან გაიყვანეს. სიკვდილის წინ მას ჰკითხეს: — გვითხარი, ეს მიწა აფხაზების არის თუ ქართველებისო! — ღმერთისო! — უპასუხა მათ მამა ანდრიამ.

23 მაისს აფხაზეთის მფარველის, წმიდა მოციქულის სვიმონ კანანელის ხსენების დღეს მეუფე დანიელმა თსუ-ის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში მამა ანდრიას და აფხაზეთში დაღუპულ მებრძოლებს პანაშვიდი გადაუხადა.

„პრობლემა, რომელსაც აფხაზეთი ეწოდება, დიდი და მძიმე ტვირთია, რომლის მოშუშება შეიძლება ერთიანი ლოცვით. სანამ ქართველი ერი არ იქნება ერთსულოვანი, ვერ დაძლევს პრობლემას. ხშირად ადამიანები გაურბიან პასუხისმგებლობას, ასეთ პერიოდში უჭირს ქვეყანას. ჯერ-ჯერობით თავდადების სურვილი ისე არ არის აღდგენილი, როგორც იყო წარსულში, მაგრამ დაწყებულია ერის შემობრუნება ღვთისკენ“, — გვითხრა მეუფე დანიელმა.

მამა ანდრიას ხსოვნის საღამომ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გადაინაცვლა, სადაც ჰუმანიტარული ფაკულტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მისი ცხოვრების გზა. შეხვედრას ესწრებოდნენ მამა ანდრიას ახლობლები და სასულიერო პირები.

პროფესია „აფხაზი“ – გზა თანამდებობის დასაკავებლად

კვირეულში სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. საჯარო სკოლის „შავნაბადას“ VII კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია — „ერთად დავიბრუნოთ აფხაზეთი“. როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მადონა ფოჩხუამ აღნიშნა, აფხაზეთის თემა ბავშვებმა გულთან მიიტანეს და კომპოზიციის შექმნის იდეაც აქედან წამოვიდა. ისინი მართლაც ემოციურად კითხულობდნენ ნაწყვეტებს სხვადასხვა მწერლისა და პოეტის ნაწარმოებებიდან.

სტუდენტებს ძალიან მოეწონათ ბავშვების შემოქმედება და აღნიშნეს, რომ სასიამოვნოა, როდესაც ეროვნული სულისკვეთების გაღვივება სკოლის მერხიდან იწყება. ლიტერატურულ კომპოზიციაში გამოყენებული იყო ნუგზარ შატაიძის, ლაშა თაბუკაშვილის, ბესიკ ხარანაულის და სხვათა ნაწარმოებები. საღამო მუსიკალურად ლეელა გოგლაძემ გააფორმა. კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში კი მოეწყო ფოტო-გამოფენა „ძველი აფხაზეთი“.

ასევე მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ცნობილ აფხაზ მწერალთან ანზორ კუდებასთან. მან თბილისელ სტუდენტებს გააცნო თავისი წიგნი „უჟამო ჟამი“ და თავის შემოქმედებით გეგმებზე ესაუბრა.

სტუდენტებისათვის საინტერესო აღმოჩნდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თეიმურაზ მჟავიას საჯარო ლექცია „თანამედროვე აფხაზეთი“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წინაპირობების გასარკვევად ჯერ კიდევ ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. მისი აზრით, აუცილებელია ბოლო ოცწლეულის შესწავლა, როდესაც დაიწყო საბჭოთა სისტემის ნგრევა. **„ამ ნგრევის შედეგად მივიღეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს. ეს იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველომ ომი წააგო თავისი მოსახლეობის 1,7 პროცენტთან. არსებობს შესაბამისი მასალა იმის თაობაზე, თუ როგორი აქტიურობით მონაწილეობდა რუსეთის ფედერაცია. პრაქტიკულად ყველა გეგმა მუშავდებოდა მოსკოვში და ხორციელდებოდა ოფიციალური სამხედრო სტრუქტურების მიერ“,** — განაცხადა თემურ მჟავიამ. მისი აზრით, ეს იყო ინსპირირებული სამხედრო ავანტიურა, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების დახმარებით. მან აღნიშნა, რომ ამის თაობაზე ედუარდ შევარდნაძე ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობს, რაც ექსპრეზიდენტმა უპირობოდ უნდა გააჟღეროს. **„აუცილებელია გამოვიკვლიოთ ის წინასაომარი სიტუაცია და ის ბრალდებები, რომელიც გაისმის იმდროინდელი ეროვნული მოძრაობის მისამართით. როგორც ამბობენ, ეთნიკურ ნიადაგზე სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებას სათავე დაუდო ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილმა, რომელიც 1990 წლის ოქტომბრიდან სახელმწიფოს სათავეში მოექცა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში სახელმწიფო ორგანოებში დამკვიდრება ეთნიკური ნიშნის მიხედვით მიმდინარეობდა. საზოგადოებაში არსებობდა გამოთქმა: — პროფესია „აფხაზი“. ეს ნიშნავდა, რომ თუ იყავი ეთნიკურად აფხაზი, პრაქტიკულად, თანამდებობის დაკავებისთვის შეზღუდვა არ არსებობდა. იმ პერიოდში საქართველო არ იყო დამოუკიდებელი და მას არ შეეძლო ეწარმოებინა დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკა. კონფლიქტის წინაპირობა კი კრემლისგან უკვე შექმნილი იყო. ამას დაემთხვა სამხედრო დაპირისპირება საქართველოში, რაც კარგად გამოიყენა კრემლმა.**

პოსტკონფლიქტური პერიოდი 1993 წლის 27 სექტემბრის შემდგომ იწყება. აბსურდის ტოლფასია იმის მტკიცება, თითქოს ომი წავაგეთ აფხაზეთთან. პრაქტიკულად ომი მიმდინარეობდა 13 თვის და 13 დღის განმავლობაში. სოხუმი დაეცა ჯვართამაღლების დღეს. ეს არ არის მეტაფიზიკური მსჯელობის მცდელობა ჩემი მხრიდან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს სასჯელი უფლისგან მივიღეთ. ისტორიის ეს პერიოდი გამოსაკვლევია და კარგი იქნება, თუ ჩვენი ახალგაზრდობა შეეცდება დაადგინოს ობიექტური სინამდვილე. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება შემდგომში ურთიერთობის დარეგულირებისათვის“. — ასეთი გახლდათ სტუდენტთა წინაშე თემურ მჟავიას გამოსვლა.

სტუდენტების მიზანია – არ ეძებონ მტყუან-მართალი

სტუდენტები დაინტერესდნენ, რა ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში და რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო კონფლიქტის მოსაგვარებლად. **„აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა კონსტიტუციური ორგანოა, იგი მოსახლეობის ნდობას იმსახურებს. სხვათა შორის, ქართულ პარლამენტში იყო მცდელობა, რომ დასმულიყო საკითხი ჩვენი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ოპონენტები ამბობდნენ, რა საჭიროა ისეთი სახელისუფლებო ორგანო, რომელიც არ მონაწილეობს კონფლიქტთან დაკავშირებულ პროცესებში. ამით აფხაზებიც აღარ გაღიზიანდებიან და პირდაპირ გავალთ მათთან კონტაქტზეო. ასეთი მარტივი მსჯელობა არაკვალიფიციურია. ამ ხელისუფლებას მეტი რესურსი აქვს კონფლიქტის მოსაგვარებლად, თუმცა, სამწუხაროდ, ეს რესურსი ბოლომდე გამოყენებული არ არის“.**

თემურ მჟავიამ იმედი გამოთქვა, რომ ნატოში ინტეგრაცია მოვლენებს ჩვენს სასიკეთოდ დაარჩარებს.

„კვირეულის“ დღეებში კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დარბაზში სოხუმის თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში კი დოკუმენტური ფილმების ჩვენება გაიმართა, რომლებიც წარმოადგინეს ფილმების ავტორებმა: აფხაზეთის ახალგაზრდული სამართველოს უფროსმა დავით ბაძაღუამ („ბედთან გაჯიბრება“) და სტუდია „რე“-ს ხელმძღვანელმა აფხაზეთში მამუკა ყუფარაძემ („აფხაზეთი — კონფლიქტის მხარე“). ამავე დარბაზში შედგა გოგა ხაინდრავას ფილმის — „ოცნებათა სასაფლაოს“ ჩვენება.

„კვირეულის“ ბოლო დღეს გაიმართა ფოლკლორული საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ინსტიტუტის სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა.

სანთლებად დანთებულ საქართველოს თსუ-ს სტუდენტებმა აფხაზეთის დაბრუნება ჩაუთქვეს — ამ ლამაზი და ამაღელვებელი აქციით დაასრულეს მათ უნივერსიტეტში გამართული „აფხაზეთის კვირეული“.

აქციაზე წაიკითხეს მიმართვა ქართულ და აფხაზურ ენებზე, რომელიც თსუ სტუდენტური თვითმმართველობის და „აფხაზეთის კვირეულში“ მონაწილე სტუდენტებმა მიიღეს: **„ჩვენი მიზანია, არ ვეძებოთ მტყუან-მართალი წლების წინ დატრიალებულ ტრაგედიაში. რადგან მიგვაჩნია, რომ რაც თავს დაგვატყდა, საერთო ტრაგედია და საერთო მარცხია. გვჯერა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. მოვალენი ვართ, ვიპოვოთ ერთმანეთის გულებისკენ მისასვლელი გზები და გვწამს, რომ დადგება ჟამი მიმტევებლობის და სიყვარულისა.“**

თსუ-ში გამართულმა სიმპოზიუმმა ხელი შეუწყო ჰუმბოლდტის ოჯახის ქსელის განვითარებას

ანა კირვალიძე

17-20 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: **„შავი ზღვის აუზი ენეოლითიდან ადრე რკინის ხანამდე (ძვ. წ. 5000 – 500 წწ.); კომუნიკაცია კავკასიასა და კარპატებს შორის".**

სიმპოზიუმის ორგანიზატორები იყვნენ გერმანიის ალექსანდრე ფონ ფუმბოლდტის ფონდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში.

საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალური მდივნის ჯონი აფაქიძის, საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ ბალავაძის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუასა და საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მეორე მოადგილის თომას ჰენცშელის მიერ.

სიმპოზიუმზე განხილული იყო შავი ზღვის პრეისტორიული არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემა. ამასთან, მონაწილეები არ შემოიფარგლნენ მხოლოდ შავი ზღვის აუზის პრობლემებით. მათ თვით ზიბენბურგებისა და დასავლეთით არსებული კულტურებიც განიხილეს.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჰუმბოლდტის სტიპენდიატი არქეოლოგები მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. კერძოდ, მონაწილეობდნენ: გერმანია, ბოსნია, სლოვენია, სლოვაკეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდავეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, საქართველო.

17 მაისს სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის საპატიო პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. მონაწილეებს მიმართეს საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალურმა მდივანმა, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე დიდებულიძემ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, ალექსანდრე ჰუმბოლდტის ფონდის ევროპა II-ის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის და ლათინური ამერიკის რეფერატის ხელმძღვანელმა ფელიქს შტრაიტერმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მეორე მდივანმა საქართველოში თომას ჰენცშელმა.

სიმპოზიუმის გახსნისადმი მიძღვნილი მოხსენება „შავი ზღვის აუზის მეტალურგია ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში" წაიკითხა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების დირექტორმა, პროფესორმა სვენდ ჰანზენმა, რომელმაც მოხსენების დაწყების წინ აუდიტორიას ამცნო, რომ მიმდინარე წლის 12 მაისს პროფესორი ჯონი აფაქიძე გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ჰუმბოლდტიანელებისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ჰუმბოლდტის ოჯახის წევრისთვის, განსაკუთრებულად საპატიო და სასიხარულოა ასეთი ღონისძიების მასპინძლობა. აღსანიშნავია თავად კონფერენციის თემაც – კულტურული დიალოგი, კომუნიკაცია კავკასიასა და კარპატებს შორის. ამ რეგიონში საკმაოდ ადრეული დროიდან არსებობდა ინტენსიური კულტურული დიალოგი, კონტაქტები და კომუნიკაცია.

რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის რეფორმირების პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლური განათლების და დასავლური კვლევის კულტურის ექსპორტი. ამ პროცესების ინტენსიურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ ჰუმბოლდტიანელებს შეუძლიათ შეიტანონ. რექტორმა მადლობა გადაუხადა ჰუმბოლდტის ფონდს, რომლის ხელშეწყობითაც ჩატარდა ეს ღონისძიება და იმედი გამოთქვა, რომ სიმპოზიუმი ტრადიციულ სახეს მიიღებს.

„ვფიქრობ, რომ ეს კონფერენცია წვლილს შეიტანს ევროკავშირის პოლიტიკაში იმ თვალსაზრისით, რომ შავი ზღვის რეგიონი იდენტიფიკაციის ფაქტორი გახდება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ამ რეგიონის ყველა დანარჩენი ქვეყნისთვის", – განაცხადა პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

სიმპოზიუმს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შავი ზღვის არქეოლოგიის პრობლემები მაღალი დონის მეცნიერებმა სხვადასხვა ასპექტში განიხილეს. კერძოდ: მეტალურგია, კერამიკა და მათი გავრცელება, დასაფლავების წესები, ვთქვათ, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, დასავლეთ შავი ზღვისპირეთში, კომუნიკაციის პრობლემები და ა.შ. სიმპოზიუმის პლენარულ სხდომაზე ოთხი მოხსენება მიეძღვნა გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების, კერძოდ, გერმანიის სასწავლო-აკადემიური გაცვლების სამსახურის (DAAD), ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის (AvH) და გერმანიის კვლევითი საზოგადოების (DFG) პროგრამების პრეზენტაციას.

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი (1769-1859) *იყო ბუნების მკვლევარი, მოგზაური, სწავლული და მეცენატი.*

ის საბუნებისმეტყველო დისციპლინების – ფიზიკური გეოგრაფიის, კლიმატოლოგიის, ეკოლოგიისა და ოკეანოგრაფიის ფუძემდებლად მიიჩნევა. ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი, გარდა იმისა, რომ მან მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა, მთელი ცხოვრება უანგაროდ ეხმარებოდა ახალგაზრდა მეცნიერებსა და ხელოვანებს.

1860 წელს, მისი გარდაცვალებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, ბერლინში დაარსდა მისი სახელობის სტიპენდია, რომელიც აფინანსებდა გერმანელი მეცნიერების კვლევით მოგზაურობებს სხვა ქვეყნებში. 1923 წელს, ინფლაციის პერიოდში, სტიპენდიამ კაპიტალი დაკარგა, თუმცა 1925 წელს ის აღადგინეს. ამჯერად სტიპენდიის მიზანს წარმოადგენდა საზღვარგარეთელი მეცნიერებისა და დოქტორანტების გერმანიაში მოზიდვა. 1945 წელს, გერმანიის იმპერიის დაცემის შემდეგ, სტიპენდიამ შეწყვიტა არსებობა.

1953 წლის 10 დეკემბერს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ყოფილი ჰუმბოლდტიანელების ინიციატივით, ჰუმბოლდტის ფონდი აღადგინა.

მისი რეზიდენცია მდებარეობს ბონში.

დაარსებიდან დღემდე ფონდმა თითქმის 130 ქვეყნის 20 000-ზე მეტი მეცნიერი დააფინანსა.

„ტახტი ფერდა" – ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი კახეთში

სიმპოზიუმის ერთი დღე დაეთმო არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების დათვალიერებას მცხეთასა და კახეთში. სიმპოზიუმის მონაწილეებმა კახეთში დაათვალიერეს ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი „ტახტი ფერდა". აქ გათხრებს აწარმოებს გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი დოქტორ ინგო მოტცენბეკერის ხელმძღვანელობით. ქართული მხრიდან კი გათხრების ხელმძღვანელია პროფესორი კიაზო ფიცხელაური. დოქტორმა მოტცენბეკერმა სიმპოზიუმის მონაწილეებს ადგილზე დეტალურად აუხსნა გათხრების შედეგები და სამომავლო გეგმებიც.

ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნასახლარი – „ტახტი ფერდა" მდებარეობს დედოფლისწყაროდან ცხრა კილომეტრის დაშორებით, 20 მეტრი სიმაღლის ტრაპეციის ფორმის გორაკზე. თვითონ გორაკი მოიცავს როგორც ადრერკინის ხანის (ძვ.წ. 10-8 სს.), ასევე გვიან და შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. 17 – 11 სს.) კულტურულ ფენებს. ეს პერიოდები ხასიათდება სპეციფიური თიხის ნაკეთობებით. როგორც ადრერკინის ხანის რუხი კერამიკა, ასევე ბრინჯაოს ხანის შავად გაპრიალებული, ორნამენტიანი კერამიკა აჩვენებს აშკარა კავშირს სამხრეთით მდებარე მეზობელ კულტურებთან: ანატოლიასა (მცირე აზია), სომხეთსა, აზერბაიჯანსა და დასავლეთ ირანთან. დაახლოებით ოთხი მეტრი სიგანის კედელი აჩვენებს თიხის, ხის სვეტების, ქვებისა და ალიზის (თიხის აგურების) რთულ ნაგებობას.

რა ფუნქციას ატარებდა ეს ნაგებობა დასახლებულ არეალში და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ამ რეგიონის დასახლებების საერთო ქსელში, ჯერ კიდევ არ არის სრულად გარკვეული. ნასახლარებიც იძლევა საუკეთესო წინაპირობას კულტურული ფენომენების ზუსტი დათარიღებისთვის.

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ უცხოელი მეცნიერები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ მისი მაღალმეცნიერულ და მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების გამო. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ყველა წარმოდგენილი მოხსენება უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იყო და ეს სიმპოზიუმი მეცნიერთა შორის იდეათა და მოსაზრებათა გაცვლის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა.

მონიკა აპმანი, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის, არქეოლოგიისა და ისტორიის დარგის წარმომადგენელი:

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ ბერნჰარდ ჰენზელს, რომელიც მთელი თავისი პროფესიული მუშაობის განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა უამრავ არქეოლოგს სხვადასხვა ქვეყნიდან. მან, ბოლო დროს, შესაძლებელი გახადა ახალი არქეოლოგიური კვლევების ფართოდ გაშლა მთელი შავი ზღვის აუზის რეგიონში, რაც კარგად დაინახა პროფესორმა ჯონი აფაქიძემ, რომელმაც ამ სიმპოზიუმის ჩატარებისთვის დიდი შრომა გასწია. სიმპოზიუმი წარმატებული იყო. მან ხელი შეუწყო ჰუმბოლდტის სტიპენდიის მთავარ იდეას – ჰუმბოლდტის ოჯახის ქსელის განვითარებას.

ბიბა ტერჟანი (ლუბლიანა), ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის წარმომადგენელი:

– თემა, რომელიც წარმოვადგინე – ტანსაცმელთან დაკავშირებული კავკასიური ნივთები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში – ეხებოდა ფიგურალურ ხელოვნებას, რომელშიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ცხოველები: ლომები, კატები. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საკმაოდ გავრცელებულ სიმბოლიკას მთელ კავკასიის რეგიონში. ჩემი თეზისის თანახმად, სამხრეთ კავკასიიდან კარპატებამდე კულტურულ დონეზე არსებობდა კომუნიკაცია, რომელიც გამომდინარეობდა გაბატონებული პოლიტიკური ელიტიდან.

საბინე რაინჰოლდი (ბერლინი), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების წარმომადგენელი:

– ჩემი თემა ეძღვნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ახლად აღმოჩენილი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარს და მის ზერეგიონალურ კავშირურთიერთობებს. ჩემი მიზანი იყო, ჩრდილო კავკასია დამეკავშირებინა სხვა კულტურულ სივრცეებთან; საუბარია არქიტექტურულ სტრუქტურაზე და ნასახლარების სამშენებლო ტექნიკაზე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული, როგორც შავი ზღვის რეგიონთან, ასევე ტრანსკავკასიურ სივრცესთან. ეს საკმაოდ საინტერესო თემაა და მომავალში უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ აღნიშნა, სიმპოზიუმის მუშაობა ძალზე წარმატებული იყო. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჰუმბოლდტიანელები მაღალი დონის მეცნიერები არიან.

სიმპოზიუმის მუშაობის შეჯამებისას მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება კონფერენციის მასალების კრებულის სახით გამოცემის შესახებ.

თბილისში შავი ზღვის აუზის პრეისტორიული არქეოლოგიის პრობლემატიკის განხილვამ ტრადიცია ჩაუყარა ჰუმბოლდტიანელთა ამგვარი სიმპოზიუმების ჩატარებას. ჰუმბოლდტიანელთა შემდეგი სიმპოზიუმი შავი ზღვის არქეოლოგიის საკითხებზე მოლდავეთში გაიმართება.

განცხადება

თსუ და ტასისის პროექტი სამაგისტრო პროგრამისათვის აცხადებს ღია კონკურსს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტასისის პროექტი – „ევროპული მეცნიერების ცენტრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" (EuropeAid/121005/C/SV/GE) – აცხადებს სილაბუსების ღია კონკურსს სამაგისტრო პროგრამისათვის ევროპულ მეცნიერებებში შემდეგი მიმართულებით: ევროპული სამართალი, ევროპული ეკონომიკა, ევროპული პოლიტიკა და ისტორია.

საკონკურსო პირობები:

- დოქტორის აკადემიური ხარისხი სამართალში, პოლიტიკურ, სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობის მინიმუმ ხუთი წლის პედაგოგიური გამოცდილება;
- კვლევა და პუბლიკაციები ევროპულ მეცნიერებებში;
- ინგლისური ენის ცოდნა, კემბრიჯის პროფესიული სტანდარტი (კითხვა – 5; საუბარი – 5; წერა – 4);
- ბოლონიის პროცესის, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის, ახალი სასწავლო მეთოდებისა და ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
- შეეძლოს მოტივირებისა და ინიციატივის დემონსტრირება.

ქართველი პედაგოგები სამაგისტრო კურსებს წაიკითხავენ ევროპული უნივერსიტეტების პედაგოგებთან ერთად.

შერჩევის პროცედურა (ჩატარდება ორ ეტაპად):

პირველი ეტაპი: საჭირო დოკუმენტები: CV, გამოქვეყნებული შრომების სია და სილაბუსი (ამობეჭდილი ელექტრონული ვერსიები) უნდა ჩაბარდეს ტასისის პროექტის – „ევროპული მეცნიერების ცენტრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" – ადგილობრივ კოორდინატორს, ცირა ჩიკვაიძეს.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის პრ. №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, ოთახი №211. ტელ: 25 24 98;

მეორე ეტაპი: ტესტი ინგლისურ ენაში და გასაუბრება.

საგუთეგის ჩაბარების ბოლო ვადა: 1 ივნისი, 2007, 18:00 სთ.

მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატებს აღნიშნულის თაობაზე ეცნობებათ ტელეფონით ან ელ-ფოსტით.

რა მოხდა სამყაროს წარმოქმნისას დიდი აფეთქების პირველ წამებში?

ATLAS-ის დიდი ექსპერიმენტი

მაკა ლდოკონენი



2007 წლის 23 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გერმანელი პროფესორი, CERN-ის (ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი, ქ. ჟენევა, შვეიცარია) გენერალური დირექტორის მრჩეველი კომპიუტერიზაციის დარგში ჰანს ჰოფმანი ეწვია. საქართველოში მისი ვიზიტის მიზანი კონფერენციაში – „გლობალიზაცია და დიალოგები ცივილიზაციებს შორის“ მონაწილეობა გახლდათ. კონფერენცია თბილისში 24 მაისს გაიხსნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰანს ჰოფმანმა წაიკითხა ლექცია GRID-ის სისტემისა და თანამედროვე მსოფლიოზე კომპიუტერიზაციის ზეგავლენის შესახებ.

CERN-ი ემზადება მსოფლიო მნიშვნელობის ექსპერიმენტის ATLAS-ის განსახორციელებლად (ექსპერიმენტის გაშვების სავარაუდო ვადაა 2008 წელი). ექსპერიმენტში კოლაბორაციის წევრის სტატუსით 1994 წლიდან მონაწილეობს გაერთიანებული ქართული ჯგუფი თბილისიდან. ეს ჯგუფი აერთიანებს ორ ინსტიტუტს – ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტს (მონაწილეები: ლ. ჩიქოვანი, ა. ღონღაძე, ი. მანჯავიძე, ნ. შუბითიძე, ე. ცხადაძე, ვ. წულაია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის და ინფორმატიზაციის ინსტიტუტს (მონაწილეები: გ. არაბიძე, ნ. გრიგალაშვილი, ი. მინაშვილი, მ. მოსიძე, ზ. სალუქვაძე, გ. ყორიაული, ჯ. ხუბუა, გ. ღლონტი, თ. ჯობავა). ჯგუფს 1994 წლიდან დღემდე პროფესორი ჯემალ ხუბუა ხელმძღვანელობს. მათ საქმიანობას დასაწყისში დიდად შეუწყო ხელი მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის ალბერტ თავხელიძისა და თსუ-ის ყოფილი რექტორის ნოდარ ამაღლობელის მხარდაჭერამ.

– ამ გრანდიოზულ ექსპერიმენტში 35 ქვეყანაა ჩართული, მასში მონაწილეობას განაპირობებს არა მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობები, არამედ ქვეყნის მეცნიერული კვალიფიკაციის დონე. ის ფაქტი, რომ ამ 35 ქვეყნიდან ერთერთი საქართველოა, უკვე უდიდესი მიღწევა და ქართული მეცნიერული სკოლის აღიარებაა, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ჯემალ ხუბუამ.

ბატონმა ჯემალმა იმედი გამოთქვა, რომ ჰანს ჰოფმანის ვიზიტი საქართველოში ქართველ ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავებასა და არსებული კონტაქტების შენარჩუნებაში დაეხმარება.

ლექციის დაწყებამდე პროფესორმა ჰანს ჰოფმანმა განმარტა, რომ GRID სისტემა წარმოადგენს ვირტუალურ სუპერკომპიუტერს, რომელშიც გეოგრაფიულად დაშორებული გამომთვლელი მოწყობილობები ერთობლიობაში მძლავრ გამომთვლელ გარემოს ქმნიან. სისტემა საშუალებას იძლევა, გააერთიანოს ნებისმიერი რაოდენობის კომპიუტერი. გარდა ამისა, მეტად სასარგებლოა იმ მეცნიერთათვის, ვისაც გამოსათვლელი აქვს ისეთი ტიპის დიდი ამოცანები, რაც დიდი სიმძლავრის გამოთვლით რესურსებს მოითხოვენ. ამრიგად, ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ GRID სისტემის საშუალებით ითანამშრომლონ CERN-თან – იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში და ამავდროულად იყვნენ CERN-ის წევრები, მათთან ერთად შეიმუშაონ საინტერესო პროექტები.

– როგორც ცნობილია, სამყაროს წარმოქმნის მომენტი დაკავშირებული იყო დიდ აფეთქებასთან. ჩვენ ვცდილობთ, შევისწავლოთ ნივთიერების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ახლოსაა პირველად მატერიასთან და ამ გზით გავიგოთ, თუ რა მოხდა დიდი აფეთქების პირველ წამებში. ვფიქრობ, ქართველი სტუდენტები დაინტერესდებიან ამ უდავოდ ეგზოტიკური ექსპერიმენტით, მით უმეტეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ერთერთი თანამონაწილეა და გვსურს სათანამშრომლოდ მოვიწვიოთ ქართველი მეცნიერები და სტუდენტები. ჩვენს შემთხვევაში ფუნდამენტური ფიზიკა ერთერთი წამყვანი დარგია, თუმცა პროექტში სხვა დარგების მეცნიერებიც მონაწილეობენ, – განაცხადა ბატონმა ჰანსმა.

იმედს გამოვთქვამ, რომ სიმსივნურ დაავადებებსაც დავამარცხებთ!

პროფესორმა ჰანს ჰოფმანმა ლექციაზე წარმოადგინა საინტერესო ვიზუალური მასალა, რომელიც CERN-ის ლაბორატორიის შესახებ ინფორმაციას მოიცავდა. მან აუდიტორიას გააცნო, თუ როგორ ამზადებდნენ ამ უდიდესი მოწყობილობის ცალკეულ დეტალებს, როგორ ხდებოდა ზოგიერთი მათგანის ტრანსპორტირება. მაგალითად, ქალაქ დუბნაში ბატონ ჯემალ ხუბუას თაოსნობით დამზადებული ადრონული ტაილ-კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილი (კასრი), რომელიც 64 ჭადრაკისებურად განლაგებული სეგმენტისაგან შედგება და რომლის სიგრძე 6 მეტრი, წონა კი 1300 ტონაა, ექვსი თვის განმავლობაში მიჰქონდათ დუბნიდან დანიშნულების ადგილამდე.

ბატონმა ჰანსმა აღნიშნა, რომ პროექტ ATLAS-ის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება. 2005 წლის შემდეგ მის შესახებ 5015 პუბლიკაცია დაიწერა. ეს ბუნებრივიცაა – CERN-ის ამაჩქარებელი ადამიანებს დაეხმარება გაიღრმავონ ცოდნა სამყაროს შესახებ, რაც ბიძგს მისცემს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას.

– ის შესაძლებელს გახდის, დავინახოთ ჩვენთვის ცნობილი სამი განზომილებისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ახალი დამატებითი განზომილებები. იმედს გამოვთქვამ, რომ სიმსივნურ დაავადებებსაც დავამარცხებთ, ვინაიდან საშუალება მოგვეცემა უმცირესი ნაწილაკების დონეზე შევისწავლოთ ამ დაავადების წარმოშობისა და მიმდინარეობის მექანიზმი, – განაცხადა პროფესორმა ჰოფმანმა.

საქართველოში პირველად ათი კომპიუტერისგან შემდგარი კლასტერის შექმნა იგეგმება

ბატონი ჰანსი განათლების პრობლემებსაც შეეხო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის განვითარების მთავარი გასაღები ცოდნაა.

– 2003 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოიწვია სპეციალური სამიტი, რომელიც ინტერნეტით თანამშრომლობას ეხებოდა. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ CERN-ის წარმომადგენლები. სამიტს „ცოდნის საზოგადოება“ ეწოდა. ეს შემთხვევითი რიდი იყო: მეცნიერების საფუძველი ხომ ცოდნაა. მხოლოდ ცოდნაზე აღმოცენებული საზოგადოება აღწევს წარმატებებს, – აღნიშნა უნივერსიტეტის სტუმარმა.

საინტერესო ლექციისათვის ბატონ ჰანს ჰოფმანს მადლობა გადაუხადა პროფესორმა თამარ ჯობავამ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიებისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი). მან აღნიშნა, რომ პირველად საქართველოში, თსუ მაღალი ენერგიებისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტში, GRID ინფრატრუქტურის პირველი საფეხურის – დაახლოებით ათი კომპიუტერისაგან შემდგარი კლასტერის შექმნა იგეგმება (კლასტერი ანუ სეგმენტი – ეს არის კომპიუტერული რესურსების გაერთიანება თავისი ფიზიკური და პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებული იქნება LCG პროექტის მომდევნო დონესთან მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტით). კლასტერის შექმნის შემდეგ საჭიროა მისი გამართვა, ტესტირება, ინსტალაცია. ასეთი კლასტერის გარეშე შეუძლებელი იქნება ქართველი ფიზიკოსების შემდგომი წარმატებული მონაწილეობა ATLAS ექსპერიმენტში. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარმა კითხვით მიმართა ბატონ ჰანსს:

– რამდენი კომპუტერისაგან შეიძლება შედგებოდეს კლასტერი და ხომ არ არის დადებული ქვედა ზღვარი მათ რაოდენობაზე, რათა შემდგომ შესაძლებელი იყოს მისი დაკავშირება მომდევნო დონესთან?

პროფესორმა ჰანს ჰოფმანმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ თამარს საინტერესო შეკითხვისათვის და განმარტა, რომ კლასტერში გაერთიანებული კომპუტერების რაოდენობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია სისტემის სტაბილური მუშაობა, რადგანაც არამარტო ქართველი მეცნიერები ისარგებლებენ დასავლური გამოთვლითი რესურსებით, არამედ უცხოელმა მეცნიერებმაც უნდა აწარმოონ სამეცნიერო გამოთვლები საქართველოში მოქმედ GRID კლასტერზე.

ჰანს ჰოფმანის განცხადებით, CERN-ს მომავალში გათვალისწინებული აქვს, დახმარება გაუწიოს საქართველოს მსგავს პატარა განვითარებად ქვეყნებს GRID-ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტების მონოგრაფიული შესწავლის პირველი მცდელობა

ბესარიონ ზოიძის წიგნი საჩუქრად

მანანა ჯურხაძე

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) პროექტის – „საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოსცა წიგნი „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“. წიგნის ავტორია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბესარიონ ზოიძე. ეს ნაშრომი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებიდან ათი წლის მანძილზე (1996-2006) შექმნილი პრეცედენტების მონოგრაფიული შესწავლის პირველი მცდელობა გახლავთ. მასში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა წვლილი მიუძღვის საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.

22 მაისს თსუ-ის სააქტო დარბაზის ფოიეში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. „მნიშვნელოვანი შენაძენი“, – ასე უწოდა წიგნს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა. მისი თქმით, ბესარიონ ზოიძის წიგნი ბოლო წლებში გამოცემულ წიგნთა შორის ერთერთი პირველია, რომელმაც მეტ-ნაკლებად ასახა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

„ბატონმა ბესომ საკმაოდ კარგად შეისწავლა და, ამავდროულად, ქართულ რეალობას მიუსადაგა ის უკანასკნელი გამოცდილება, რაც მსოფლიო იურიდიული საზოგადოების ფარგლებში დაგროვდა. შემთხვევითი არ არის, რომ პრეზენტაცია უნივერსიტეტში გაიმართა. წიგნი რეკომენდებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. თუმცა მიმაჩნია, რომ მისი გაცნობა არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ ნებისმიერი ქართველი იურისტისთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან ჩვენ ძალიან მცირე ლიტერატურა მოგვეპოვება, რომელიც განიხილავს და გააანალიზებს საქართველოში სასამართლო პრაქტიკას. ჩემი სტუდენტობის დროს ასეთი ლიტერატურის მოძიება შეუძლებელი იყო“, - აღნიშნა გიორგი პაპუაშვილმა.

რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ კოლეგასა და უფროს მეგობარს, ბატონ ბესარიონს, წიგნის პრეზენტაცია მიულოცა და მადლობა მოახსენა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას კარგი ინიციატივის მხარდაჭერისთვის და იმ აქტიურობისთვის, რომელსაც ეს ორგანიზაცია საქართველოში იჩენს.

„აუცილებელია, რომ ჩვენი იურიდიული განათლების სისტემა ორიენტირებული იყოს სწორედ პრაქტიკასა და თეორიულ ცოდნას შორის მჭიდრო კავშირზე. თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთისაგან აბსოლუტურად გამიჯვნის ძველი სტერეოტიპი რაღაცნაირად უნდა დავამსხვრიოთ. წიგნი კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს სინთეზი.

წიგნი არა მარტო მდიდარ მასალას აძლევს კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებულ მკითხველს განსჯისათვის, არამედ ეს არის პირველი ცდა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც საქართველოში არც თუ დიდი ხნის ტრადიციებს ითვლის, პირველად გახდეს სამეცნიერო ანალიზის საგანი“, - აღნიშნა რექტორმა.

„უკვე 11 წელია, რაც საკონსტუტიციო სასამართლო ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს. ამ წლების განმავლობაში საკმაოდ სერიოზული პრეცედენტები დაგროვდა. თუმცა, ისიც მინდა გავიხსენო, რომ თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლო სრულიად ყამირ ნიადაგზე დაფუძნდა: – არ გაგვაჩნდა სერიოზულად განვითარებული დოქტრინა, არ არსებობდა სასამართლო პრაქტიკა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული საქმიანობების მიმართ მიდგომები შეიცვალა. შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ვახერხებთ ევროპულ სამართალთან სერიოზულ ჰარმონიზაციას.

ჩემი წიგნი, ძირითადად, ორიენტირებულია ღირებულებებზე, ჩემთვის მთავარი სახელმწიფოს ღირებულებები გახლავთ, რასაც სპეციალური პარაგრაფები მივუძღვენი. ეს წიგნი სტუდენტებისთვის დავწერე. ჩვენს უნივერსიტეტებში ხომ სტუდენტის მიმართ სრულიად ახლებური დამოკიდებულება ყალიბდება. მოხარული ვიქნები, თუკი ჩემი გამოცდილება მათ რამეში წაადგებათ“, - აღნიშნა ბესარიონ ზოიძემ თავის გამოსვლაში.

წიგნი – „საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ უფასოდ ვრცელდება.

ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი პლანეტა მარსის გამოკვლევას იწყებს

სულ ცოტა ხნის წინათ პროფესორი გია მახათაძე ნიუ იორკის ყველაზე ძველი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სუპერპროფესორად (Distinguished პროფესორი) მიიწვიეს. ასეთი წარმატება ადამიანისთვის, რომელიც 16 წლის წინათ ამერიკაში წიგნებით სავსე მხოლოდ ერთი ჩემოდნით ჩავიდა, კონკიას ზღაპრის ბედნიერ დასასრულს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გია მახათაძისთვის ჯადოსნური ჯოხი არავის აუქნევია – ყველაფერს თავის ნიჭითა და თავდაუზოგავი შრომით მიაღწია.

გია მახათაძემ ახლახან მიიღო Mars exploration programme-ის Nasa-ს გრანტი, რომელიც პლანეტა მარსის გამოკვლევას აფინანსებს. დღემდე ასეთი გრანტი არცერთ ქართველ მეცნიერს არ მიუღია.

მაია ტორაძე

– ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც არც ბიძაშვილობა ჭრის და არც ის, რომ ბებია-ბაბუა გყავდა მეცნიერი. იქ შეჯიბრებითობის კანონი ყველაფერში იგრძნობა. სამუშაოს იღებს ყველაზე ძლიერი, ვინც გინდა იყოს, ამერიკელი იქნება, ფინელი, ინდოელი თუ ქართველი, – გვიხსნის ბატონი გია და იხსენებს, რომ 1985 წელს, როცა ის საქართველოდან წავიდა, ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილება არსებობდა და ქართველ მეცნიერებს სასარგებლო კონტაქტები ჰქონდათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეცნიერებთან. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კი საქართველო მთლიანად მოწყვიტა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას, შეიქმნა მეცნიერების განვითარებისთვის არასასურველი გარემო, რამაც ინტელექტუალთა გადინება გამოიწვია.

საქართველოს მეცნიერებაში არსებული მძიმე მდგომარეობის მიზეზად პროფესორი გია მახათაძე სწორედ მსოფლიო სამეცნიერო სივრცისგან იზოლირებას ასახელებს:

– საბჭოთა კავშირი საქართველოს სამეცნიერო რესურსებს აძლევდა ხელსაწყოებისა და მასალების სახით, ტარდებოდა კონფერენციები, გვქონდა ურთიერთობა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მეცნიერებს შორის ინფორმაციისა და იდეების გაცვლა, დისკუსია სასიცოცხლოდ აუცილებელია. იზოლაციაში მეცნიერება კვდება.

დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოს მეცნიერება სწორედ რომ იზოლაციაში აღმოჩნდა – საბჭოთა ურთიერთობების ბუნებრივმა მოშლამ და დასავლეთთან მწირმა ურთიერთობამ სამეცნიერო დონის დაწევა გამოიწვია. დღეს არის მცდელობა ჩაკეტილი სივრცის გახსნისა და სწორად მიმაჩნია უნივერსიტეტის სტრატეგია – კარი გაუხსნას ყველა პროფესიონალს, უცხოელ თუ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს. გარდა ამისა, ვხედავ, რომ ყველაფერი დადებითისკენ მიდის. კარგად გათვლილი სვლები 3-4 წელიწადში საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის სასურველ გარემოს შექმნის.

ჩანს, რომ ქართულ მეცნიერებას ჯერ ძალიან უჭირს – დასავლეთში წასვლა ძვირია და ამის საშუალება ცოტას აქვს, თანაც, რომ წახვიდე, რაღაც ხომ უნდა წარადგინო? აქ კი ჯერჯერობით თანამედროვე ლაბორატორიები არ არის, ექსპერიმენტის ჩატარება შეუძლებელია.

პროფესორი გია მახათაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის გიორგი ხუბუას მოწვევით ჩამოვიდა და რამდენიმე ლექცია ჩაატარა. პარალელურად იგი გაესაუბრა სტუდენტებსა და დოქტორანტებს. რამდენიმე მათგანს ბატონმა გიამ თანამშრომლობაც შესთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს დიდი მეცნიერებისკენ გზა ხსნილი აქვთ. ასეთი თანამშრომლობები ბატონ გიას მნიშვნელოვნად მიაჩნია:

– უნივერსიტეტში ლექციები ინტენსიურად უნდა წაიკითხონ არა მხოლოდ უცხოეთში მოღვაწე ქართველებმა, არამედ უცხოელმა მეცნიერებმაც, რადგან ამ იდეების გაცვლა ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება. დამერწმუნეთ, ისინი აქ ნახევარ ფასად ჩამოვლენ, რადგან სიახლეები იზიდავთ.

გარდა ამისა, ქართველებიც უნდა წავიდნენ საზღვარგარეთ, ევროპაში, ამერიკაში, თუნდაც ცოტა ხნით. ისინი გააცნობენ მსოფლიოს ჩვენს ქვეყანას და მის სამეცნიერო და კულტურულ პოტენციალს. ეს აუცილებელია, რადგან ბევრმა არ იცის, საქართველო სად არის. მაგალითად, ამერიკელისთვის Georgia ჯერ კიდევ ამერიკის შტატს ნიშნავს. ბევრმა ისიც არ იცის, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა.

ამჯერად ჩემი ჩამოსვლა და რამდენიმე ლექციის წაკითხვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მქონდა შეხვედრა ბატონ გია ხუბუასთან და მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგ სასწავლო სეზონზე ლექციების მთლიან კურსს წავიკითხავ, გამოცდასაც ჩავიბარებ და ნიშანსაც დავწერ. გაიცემა სპეციალური დიპლომი, რომელშიც მინიშნებული იქნება, რომ სტუდენტმა ჩემი ლექცია მოისმინა. ეს წაადგება მათ, ვინც საზღვარგარეთ ასპირანტურაში ჩასაბარებლად ემზადება. შემიძლია ჯგუფის საუკეთესო სტუდენტებს რეკომენდაციაც გავუწიო. ამერიკის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი რეკომენდაცია, რადგან იქ ჩასაბარებლად მარტო გამოცდები არ კმარა.

კვლევა – როგორ შევინახოთ წამალი მაცივრის გარეშე?

პროფესორი გია მახათაძე ამერიკაში ერთერთი ყველაზე წარმატებული მეცნიერია. მუშაობს მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში – ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გენეტიკაში, გამოყენებით მათემატიკაში. აკეთებს კომპიუტერულ გათვლებს ამერიკის საუკეთესო ლაბორატორიებში. მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით კომპლექსური მუშაობა დასავლეთში აპრობირებული მეთოდია. ერთ დარგში უკვე კარგა ხანია აღარავინ მუშაობს, რადგან საკითხი შეისწავლება დეტალურად, ყველა მიმართულებით და ეს იდეები, მოდელები და მეთოდები ერთ ლაბორატორიაში მუშავდება. თავად ბატონი გია სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად ბიოტექნოლოგიას მიიჩნევს:

– ჩემი ინტერესის სფეროა ცილის დიზაინი და ფუნდამენტალური კანონების დადგენა ბიოლოგიური ტექნოლოგიის განვითარებისთვის. ეს ტექნოლოგია გამოიყენება ფართო მოხმარების სფეროში – ეს იქნება ახალი წამალი, ახალი ფერმენტი ან წვენებისთვის შაქრის გადამუშავება. ჩვენ ცილას ვუტარებთ კომპიუტერულ მოდიფიკაციას, რომ ყველა ატომსფერულ ტემპერატურაზე სტაბილური გახდეს.

ასევე ვმუშაობ სამკურნალწამლო საშუალებათა შენახვის ტექნოლოგიებზე. მოგეხსენებათ, რომ სააფთიაქო ქსელში გამოსული თითო წამლის დამზადება-შენახვაზე რამდენიმე მილიარდი იხარჯება. ეს ძალიან რთული პროცესია. ჩვენ წამალს კი არ ვაკეთებთ, არამედ ვიკვლევთ ტექნოლოგიას – როგორ შეიძლება დამუშავებული წამალი კარგად და დიდხანს შეინახოს, მაგალითად, მაცივრის გარეშე. ცილას შეიცავს უამრავი სამკურნალწამლო საშუალება. ამპულებში ჩასხმისას ის მინასთან განიცდის აბსორბციას და იკარგება. სხვადასხვა ტექნოლოგიური მანიპულაციით ჩვენ ვახერხებთ მისთვის სტაბილურობის მინიჭებას და ვიღებთ მოგებას. ამ ტექნოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძირითადად იმ კომპანიებისთვის, რომლებიც სამკურნალწამლო საშუალებებს აწარმოებენ, ამიტომ ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლობა მათთან ორმხრივად სასარგებლოა.

საქართველოს რუკა და პირველი სადღეგრძელო საქართველოს ისტორიაზე ამერიკაში

ბატონი გია მახათაძე დღეს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ერთერთი ყველაზე მაღალციტირებადი ქართველი მეცნიერია (ციტირების ინდექსი 4000-ზე მეტია). მისი ერთერთი მოწაფე – მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ სურგულაძე მას ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის პირდაპირ მემკვიდრედ მოიხსენიებს, რადგან, მათ მსგავსად, ბატონმა გიამაც ამერიკაში ქართველებისთვის მთელი სკოლა შექმნა და ეს სკოლა 15-მდე ქართველმა მეცნიერმა გაიარა.

დაახლოებით 15 წლის წინ, როცა გია მახათაძემ ასისტენტ-პროფესორის წოდება მიიღო, ტეხასის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლაბოკში, რამდენიმე ქართველს მასთან მუშაობა შესთავაზა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქართველთა სათავისტომოს, რომელშიც 1999-2003 წლებში უკვე 11 ადამიანი იყო გაერთიანებული. პენსილვანიის უნივერსიტეტის ჰერშის კოლეჯში, სადაც ბატონი გია უკვე ასოცირებული პროფესორის რანგში მუშაობდა, ეს იყო ყველაზე დიდი დიასპორა. ბატონი გიას მოსწავლეები იყვნენ ვახტანგ ლოლაძე, ნოდარ სურგულაძე, ვეფხია გილაური, ანზორ გვრიტიშვილი, პაპუნა კოტორაშვილი და ამერიკაში უკვე კარგაც ცნობილი სხვა მეცნიერები.

ნოდარ სურგულაძე იხსენებს, რომ ამერიკის ერთერთ უნივერსიტეტში მოღვაწეობისას გია მახათაძის ნაცნობობა ერთგვარი საგიზიტო ბარათი იყო: მისი რეკომენდაცია და სახელი – რომ მახათაძესთან კურსი გაგივლია ან გამოცდა ჩაგიბარებია, ამერიკის სამეცნიერო საზოგადოებაში წარმატების საფუძველს იძლევა.

გია მახათაძის პატრიოტიზმი მხოლოდ ქართველი სტუდენტებისადმი კეთილგანწყობასა და გულისხმიერებაში არ გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის დროს სტუდენტებთან სიამოვნებით თამაშობს ფეხბურთს და ერთობა, საქმეში დაუნდობელი და მკაცრია, მით უფრო, თუ ქართველი ხარ. ამიტომ ყველა, ვინც მასთან მუშაობდა, გამორჩეული მეცნიერია. ერთი მათგანი ნობელის პრემიის ლაურეატთანაც მუშაობს.

გია მახათაძე – 43 წლის, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ბიოფიზიკის მიმართულებით;

1991 წელს დაასრულა ცილის ინსტიტუტის ასპირანტურა მოსკოვში და დაიცვა საკადიდატო დისერტაცია;

1991 წლიდან მოღვაწეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბიოფიზიკური კვლევებისა და მაკრომოლეკულების ინსტიტუტის სტაჟიორი, ტეხასის უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, შემდეგ – ასოცირებული პროფესორი;

1999-2003 წლებში იყო პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით. დღეს იმავე უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

გია მახათაძე არის რამდენიმე დიდი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი და საგრანტო ორგანიზაციის წევრი. არჩეულია აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, მონაწილეობს ამერიკის ყოველწლიური სამეცნიერო ბიუჯეტის განსაზღვრაში.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი – 7 წლის ერიკი და 2 წლის მარკი.

ნოდარ სურგულაძე:

– ამერიკაში ყველამ იცის, რომ გია ქართველია. მის სახლში, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე ესპანელი ჰყავს, ქართული კერძები კეთდება. ჩემი იქ ყოფნის დროს ყველა დიდ დღესასწაულზე, განსაკუთრებით, შობას, გიასთან ვიკრიბებოდით არა მხოლოდ ქართველები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. პირველი შთაბეჭდილება, რაც მისი სახლიდან დამრჩა, ეს იყო შესასვლელში დაკიდებული საქართველოს დიდი რუკა და პირველი სადღეგრძელო, რომელიც, ტრადიციულად, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვას ეთმობოდა... და ასეთ კაცს წინა ხელისუფლების დროს საქართველოს მოქალაქეობა არ მისცეს – რა გაგიკეთებია შენი ქვეყნისთვისო... მიხარია, რომ უნივერსიტეტის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ ბატონი გია მოიწვია და მუშაობის საშუალება მისცა. ეს უნივერსიტეტისთვის და ქართული მეცნიერებისთვის მართლაც დიდი საქმეა.

სტუდენტებს კითხვის დასმისა რცხვენიათ

პროფესორი გია მახათაძე ჩვენთან საუბარში ევროპულ და ამერიკულ სწავლების სისტემასაც შეეხო. მისი აზრით, ამერიკული სისტემა უფრო დემოკრატიულია, ლექციებზე და სემინარებზეც მეტი აქტიურობა იგრძნობა.

– ამერიკაში სტუდენტსა და პროფესორს შორის ამხანაგური ურთიერთობებია. მაგალითად, მე სახელით მომმართავენ. ეს, ჩემი აზრით, უფრო დემოკრატიული და ნაკლებად ფორმალური დამოკიდებულებაა, რაც აადვილებს ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობას, სტუდენტიც უფრო აქტიურია – აღარ ერიდება კითხვის დასმასა და დისკუსიაში ჩაბმას. საქართველოში ჯერ ეს დისტანცია იგრძნობა. რამდენიმე ლექცია წავიკითხე და კითხვა თითქმის არ დასმულა, იშვიათად აქტიურობდა ვინმე. მე ბევრი ვეცადე, ვიხუმრე კიდეც, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ერიდებათ – ამერიკაში მცხოვრები და თანაც პროფესორი, მათში რაღაც კომპლექსს იწვევს.

თუმცა, ეს ყველაფერი დროებითია. მე მქონდა შეხვედრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლებსაც გავაცანი სისტემა – როგორ მუშაობს ამერიკული უნივერსიტეტი. აქვე გავეცანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიასაც. ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორი გზით მიდის და ცოტა ხანში სასწავლო პროცესი ამერიკულ სისტემას დაემსგავსება.

ღვაწლმოსილნი

ტარტუს უნივერსიტეტში კიდევ 6 ქართველი სტუდენტი ისწავლის

მიმდინარე სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი ტარტუს უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 27-მა სტუდენტმა.

11 მაისს ჩატარდა გასაუბრება, რომელმაც 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრებისათვის გამარჯვებული 6 აპლიკანტი გამოავლინა.

გამარჯვებულთა შორის არიან: ანა რეხვიაშვილი, ნინო ღვინაძე, ანა კვინტრაძე, თამარ ნოზაძე (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი უხურგუნაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი), თორნიკე ეგნატაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი).

გიორგი უხურგუნაშვილი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

– მოგეხსენებთ, რომ საქართველოსთვის განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია. ტარტუს უნივერსიტეტის ევროკოლეჯში დანერგილია ევროკავშირის პროგრამა – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის კვლევა. ეს პროგრამა საქართველოსთვისაც სასარგებლოა. ჩემთვის, პირადად, საინტერესოა იმ გამოცდილების შესწავლა, რომლითაც ესტონეთმა სასწაული მოახდინა.

გავეცანი ტარტუს უნივერსიტეტის საიტსაც. მომწონს იქ შექმნილი გარემო, სადაც სწავლა და გართობა თანაბრადაა შერწყმული.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ისწავლება ევროკავშირის საკითხები, საერთაშორისო ურთიერთობები როგორც ცივი ომის დროს, ასევე თანამედროვე ეტაპზე, რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ა.შ.

რადგან ვაპირებ, საქართველოს საგარეო პოლიტიკას ვემსახურო, ვფიქრობ, ტარტუში სასარგებლო გამოცდილებას შევიძენ.

ქართველ მეცნიერებს ჰერეთის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის გაგრძელება სურთ

საქართველოს ისტორიული ნაწილი ჰერეთი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიულ სივრცეშია მოქცეული. მას მოსახლეობა ხშირად საინგილოს უწოდებს. საუკუნეების მანძილზე ჰერეთი საქართველოს ტკივილად რჩებოდა, რადგან აქ მცხოვრებ ქართველობას ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უხდებოდა მტრული ძალების აგრესიის მოგერიება. მიუხედავად რთული პოლიტიკური ცვლილებებისა, რომლებმაც მკვიდრი მოსახლეობის სამშობლოსგან ჩამოშორება გამოიწვიეს, იქ მცხოვრებმა ქართველებმა მაინც შეძლეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები წარსულ დიდებას შეგვახსენებენ.

შურთხია გეროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თემატურ კონფერენციაზე — „ჰერეთი“, აღინიშნა, რომ ამ მხარეში ისტორიული, რელიგიური, თუ ეთნიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევი. ორ ქვეყანას — აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები იმის გარანტი უნდა იყოს, რომ ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გააგრძელონ ამ ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარემ ტარიელ კვიციანმა განაცხადა, რომ მიუხედავად ამ ქვეყნის სუვერენიტეტისადმი ჩვენი პატივისცემისა და მეგობრობისა, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, დავიცვათ ჩვენი თანამემამულეების ეთნიკური უფლებები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პრობლემა მხოლოდ ხელისუფლების დონეზე შეიძლება მოგვარდეს. აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ თავისი პოზიცია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გაამყარა: **„ამ ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები ზუსტად უნდა აღვნუსხოთ და შევისწავლოთ. დავით გარეჯის საკითხი დღეს მტკივნეულია და ეს ჰერეთის პრობლემაც არის იმ თვალსაზრისით, რომ ეს ტერიტორია მეოთხე საუკუნედან ნამდვილად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამასვე ადასტურებს ქართული, სომხური და ბერძნული წყაროები. აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა ამ თემას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა. დროა, ჩვენმა ახალგაზრდობამაც გამოიჩინოს ინიციატივა, თუმცა ეს პრობლემა სახელმწიფოსა და საპატრიარქოს გადასაწყვეტია. მოხარული ვარ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ თემაზე გამახვილდა ყურადღება და კონფერენციაზე ჰერეთის თემა მრავალ ასპექტში განიხილება“.**

სამეცნიერო კონფერენციას დაესწრო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთ მტკივნეულ საკითხებზე თვალი არავინ უნდა დახუჭოს და ბრძოლა სიმართლის დასამტკიცებლად უნდა გაგრძელდეს. მისი თქმით, დღეს საინგილოში ბევრი პრობლემაა დაგროვებული. ძეგლებთან დაკავშირებით კი კოორდინირებული მუშაობაა საჭირო. **„ამ თემაზე საუბარს არასდროს ვერიდებით. ბოლოს და ბოლოს, უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა, რას ვითხოვთ. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ და ვიმეგობროთ ყველასთან, მაგრამ მეგობრობა არ უნდა იყოს ცალმხრივი. ძალიან გვაწუხებს ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ბედიც. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. აუცილებლად უნდა ამოქმედდეს კახის წმიდა გიორგის ეკლესიაც. ისტორიკოსებმა რაც არ უნდა იდავონ, ქართულია ეს ეკლესია თუ ალბანური (თუმცა არსებობს დასკვნა, რომ ის მთლიანად ქართული ორნამენტებით არის შემკული), ერთი რამ ყველასთვის ცხადია, ტაძარი ქრისტიანულია, ამიტომ იქ შესვლის და ლოცვის საშუალება ყველა ქრისტიანს უნდა მიეცეს.**

მთავარია არ დავიღალოთ და არ გამოვავლინოთ ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი უნიათობა. არავის ვაფიქრებინოთ, რომ ოდესღაც მოგვწყინდება ამ პრობლემაზე საუბარი. ამ პროცესში ყველა უნდა ჩაერთოს — სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურები, თუ საჭირო გახდება საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ძალზე მნიშვნელოვანია, სტუდენტების მხარდაჭერა, ამიტომაც მოვედი აქ და მოხარული ვარ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ პრობლემაზე საუბრობენ“, — აღნიშნა თამარ მახარაშვილმა.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი თემატიკა, რომელიც მოიცავდა ისტორიული ჰერეთის და იქ მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის ყოფას, ეთნოგრაფიას, არქიტექტურას თუ ადათ-წესებს.

ახალგაზრდა მეცნიერმა ირინა მირიჯანაშვილმა ჰერეთში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე ისაუბრა: **„მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი ეკლესიაა და იქ ათასობით ქრისტიანი ცხოვრობს, კახის რაიონში, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი მოქმედი ტაძარია.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2005 წლის ორდღიანმა ექსპედიციამ შეძლო ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების მონახულება: ქურმუხის ტაძარი, კახის წმიდა გიორგის ეკლესია, ალათერმულის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები, ალიბეგლოს წმიდა ნინოს ეკლესია, კასრის წმიდა სამების ეკლესიის ნაშთი, ლექართის მონასტრის ზემო ეკლესიები, თამარის ხიდი და სხვა. იმედს ვიტოვებთ, რომ ოფიციალური საქართველო და აზერბაიჯანი გამოიჩენენ კეთილ ნებას და ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დაუშვებენ სამეცნიერო ექსპედიციებს, რათა ამ რეგიონშიც აღდგეს ისტორიული სამართლიანობა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის მაგისტრმა ფიქრია ვარდოსანიძემ ისაუბრა ქრისტიანული რწმენის ელემენტებზე ჰერეთის თანამედროვე მოსახლეობაში: **„დღეს ქურმუხზე სალოცავად დადიან ქრისტიანებიც, მაჰმადიანებიც და სომხებიც შექიდიდან და ზაქათალადან. ისინი ღამეს ათევენ, შლიან სუფრას და ასე ატარებენ დროს. ჰერეთის კულტურულ-რელიგიური მემკვიდრეობა და მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი წეს-ჩვეულებები, ხალხური გადმოცემები ღვთისმშობლის, წმიდა გიორგის თუ ქართველ მეფეთა შესახებ, მეტყველებს ამ კუთხის სულიერ კავშირზე საქართველოსთან“.**

ამავე დღეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში მოეწყო ისტორიული ჰერეთის, საინგილოს მკვიდრთა — მზია ბარიხაშვილის და ომარ ოთარაშვილის ნამუშევრების გამოფენა. ახალგაზრდა თვითნასწავლმა მხატვრებმა დიდი ხნის ოცნება აისრულეს და ქართველ სტუდენტებს თავიანთი ნამუშევრები გააცნეს.

საინგილოში დღესაც ყვებიან თქმულებას წმიდა გიორგის და მარიამ ღვთისმშობლის შესახებ: ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიის საძირკვლად დიდი ლოდია. მის ქვეშ გამოქვაბულია და შიგ ხატები ასვენია. გამოქვაბულის კარი წმიდა გიორგის დაუქოლია. თქმულების მიხედვით, მარიამ დედა (ასე ეძახიან ღვთისმშობელს) მხოლოდ აღდგომა დღეს აღებს კარს და ოქროს სავარცხლით ნაწნავებს ივარცხნის. ინგილოების რწმენით, მარიამ დედა აძლევთ ძალას, საქართველო და ქართული არ დაივიწყონ.

საინგილოს საკითხების შემსწავლელი კომისია დაფუძნდა

კონფერენციაზე დაიბადა იდეა, შექმნილიყო საინგილიოს საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელიც მეორე დღესვე დაფუძნდა. კომისიის წევრები არიან: ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი გელა დუმბაძე, პარლამენტის რეგიონალური კომიტეტის წარმომადგენელი იაგო კუბლაშვილი, რეჟისორი ნიკო წულაძე, გია კალანდაძე („ჩვენებურები“), ლუიზა ლაწუნაშვილი (გაზეთი „სარკმელი“), საქართველოს საპატრიარიქო, ასევე თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, ასმათ ოთარაშვილი, გიორგი ოთხმეზური, ირინა მირიანაშვილი და ჰერეთელი სტუდენტები. კომისიასთან თანამშრომლობის მზაობა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამაც გამოთქვა.

მომავალში დაგეგმილია, კომისიის მუშაობაში ჩაერთოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საზღვრის დაცვისა და ტურიზმის დეპარტამენტები.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ კვიციანმა აღნიშნა, კომისია მიზნად ისახავს, საფუძვლიანად შეისწავლოს საინგილოს ქართული მოსახლეობის პრობლემატიკა და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის გათვალისწინებით სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად გადაიჭრას მტკივნეული პრობლემები. მისი თქმით, დაიგეგმება არაერთი ღონისძიება: ამ მხარეში სტუდენტთა რეგულარული ექსპედიციები, მოსახლეობასთან შეხვედრები. ტარიელ კვიციანის განცხადებით, ანალოგიური კონფერენციები უფრო ხშირად გაიმართება, რათა საზოგადოებას სრული ინფორმაცია მიეწოდოს ჰერეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ღვაწლმოსილნი

Zero tolerance! – არის კი გამოსავალი?

რას წერს საზღვარგარეთის პრესა

გლობალური პრობლემა - ძალადობა მოზარდებში - რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფატალური ტენდენციის მაჩვენებელია, ბოლო პერიოდში ჩვენთვისაც მეტისმეტად მტკივნეული გახდა.

პრობლემის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე ამ სფეროში მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ დიდი გამოცდილება არსებობს. თუმცა პრევენციული ზომებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული დამოკიდებულებაა.

ახალგაზრდებში ძალადობის ფაქტების სტატისტიკური მონაცემები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მეტად საგანგაშო ტენდენციაზე მიუთითებს. ეს არის ის მწვავე პრობლემა, რომელიც ერთნაირად საყურადღებოა მთელი მსოფლიოსთვის.

ანა კირვალიძე

კრიმინოლოგები სვამენ კითხვას, ხომ არ არის 60-70-იანი წლების ლიბერალური კონცეფციები და გამოსწორების მიზნით აღმზრდელობითი მიდგომები მსოფლიოში ახალგაზრდა ბოროტმოქმედთა მომრავლების ერთერთი მთავარი მიზეზი? ფიქრი ამ საკითხებზე დიდი ხანია დაიწო.

Zero tolerance — ნულოვანი ტოლერანტობა სამართალდამრღვევთა მიმართ! — ეს არის დანაშაულთან ბრძოლის დევიზი აშშ-ში, სადაც ამ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილებაა დაგროვებული. დღესაც ამერიკელები კვლავ ძლიერი ხელის პოლიტიკას მისდევენ: ამერიკული სასამართლოები მოზარდ დამნაშავეებს ხანგრძლივ პატიმრობას უსჯიან, ხოლო დანაშაულის განმეორების შემთხვევაში მათ სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის რაოდენობას, მსოფლიოში თითქმის არსად ჰყავთ იმდენი პატიმარი, რამდენიც აშშ-ში.

ამ სტრატეგიის თეორია პირველად 60 წლის წინ დაწვრილებით არის განხილული წიგნში — „Fixing Broken Windows“. ამ ნაშრომის მიხედვით, მხოლოდ წესრიგის სოციალურ კლიმატს შეუძლია მზარდი დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოების იმუნიზაცია. თუ ვენდობით ნიუ იორკიდან უახლეს სტატისტიკას, ეს კონცეფცია ნამდვილად წარმატებულია: ძალადობის ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა.

დებატებმა „ნულოვანი ტოლერანტობის“ გარშემო რამდენიმე წლის წინ ევროპაშიც შეაღწია. თვითონ ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ მიიჩნია ის პოლიტიკურ იარაღად. ამერიკული მოდელისადმი ინტერესი გერმანიამაც გამოიჩინა: ნიუ-იორკელების რეცეპტს ახლო წარსულში სხვადასხვა ქალაქებიდან პოლიციის არაერთი დელეგაცია სწავლობდა.

შეერთებული შტატების ჯანდაცვის ორგანომ და Center for Disease Control-მა რამდენიმე წლის წინ კრიმინალის განვითარების ტენდენციები ერთმანეთს 26 განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოში შეადარა და დაასკვნა, რომ მოზარდების ძალადობა, ყველაზე მეტად, ამერიკული ფენომენია, თუმცა ის მეტნაკლებად ყველა ქვეყანას ერთნაირად აწუხებს.

სადაა მოზარდებში ძალადობის განვითარების მიზეზებიც. რა აყალიბებს ახალგაზრდას ბოროტმოქმედად? ერთმნიშვნელოვანი ახსნა ამ თემაზე, სავარაუდოდ, არასოდეს იარსებებს. ყოველი ადამიანის ბიოგრაფია განსხვავებული და ინდივიდუალურია. ცხოვრების არც ერთი გზა არ მიემართება აუცილებლად კრიმინალური კარიერისკენ. მაგრამ, უდავოდ არსებობს შინაგანი კავშირი სიღარიბეს, დანგრეულ ოჯახს, უპერსპექტივობას, უმუშევრობას, მოწყენილობასა და ძალადობას შორის.

უმკაცრესი კანონები და ხანგრძლივი პატიმრობა ვერ შეუშლიან ხელს ბოროტმოქმედების ჩადენას. თვითონ სიკვდილით დასჯაც კი არ უშლის ხელს — ამერიკაში ადამიანებმა უარი თქვან დანაშაულზე. ბრიტანულმა სასამართლო კომისიამ უარყო მარგარეტ ტეტჩერის დროინდელი მკაცრი ციხის პოლიტიკა, რაც მეტისმეტად უაზროდ მიიჩნია. როგორც ისტორია და დღევანდელობა გვიჩვენებს, მხოლოდ რეპრესია არ ქმნის პრევენციას.

მკაცრი თუ რბილი რეაქცია? - ეს ძველი მიდგომაა. თანამედროვე კრიმინალურმა პოლიტიკამ, რომელიც დღევანდელ სოციალურ ცვლილებებს უნდა შეესაბამებოდეს, თავი უნდა დააღწიოს ამ დილემას.

რომის პაპის ბენედიქტ XVI-ს მოწოდება ახალგაზრდებისადმი

ის, რომ ძალადობა მოზარდებში მსოფლიოს მასშტაბით ერთერთი უმძიმესი პრობლემაა, რომის პაპის ბენედიქტ XVI-ის ლათინოამერიკაში ექვსდღიანი ვიზიტის დროს ახალგაზრდებისადმი მოწოდება ადასტურებს. სწორედ მოზარდებში ძალადობის თემაზე გაამახვილა ყურადღება რომის პაპმა ბრაზილიაში სტუმრობისას. რამდენიმე დღის წინ სან პულოს ფეხბურთის სტადიონზე ათი ათასობით ახალგაზრდასთან შეხვდრის დროს პაპმა ბენედიქტ XVI-მ ახალგაზრდებს მოუწოდა „არ აღმოჩნდნენ სიძულვილისა და ძალადობის ტყვეობაში“. ამ პრობლემის სიმწვავეს ლათინოამერიკულ მეტროპოლისებში საკმაოდ მაღალი კრიმინალური მაჩვენებელი ადასტურებს.

ბაიერნის შს მინისტრმა კომპიუტერული თამაშების აკრძალვა მოითხოვა

სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ელექტრონული მედიისადმი ლტოლვას იჩენს. გერმანიაში მეცნიერული კვლევებით დადგინდა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა 4%-6%-ს ინტერნეტმანია ახასიათებს. 20 წლის ქვევით ასაკის ახალგაზრდებში ეს პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია.

ბოლო წლებში მოზარდებში გაიზარდა ძალადობრივი შინაარსის მქონე კომპიუტერული თამაშებისადმი ინტერესი და ხანგრძლივი დროის მანძილზე ინტერნეტის მოხმარების შემთხვევები. უცხოელი ექსპერტების აზრით, საათების განმავლობაში კომპიუტერის მოხმარება მნიშვნელოვნად ცვლის აღქმას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ადრიდანვე სათანადო ზომების მიღება. ამ პრობლემას ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი ბილკე ასე განიხილავს: „საყურადღებოა, რომ განსაკუთრებით დეპრესიული და სოციალურად არასტაბილური პერსონები ინტერესდებიან ინტერნეტის ვირტუალური სამყაროთი. კომპიუტერულ თამაშებში ჩაფლულნი ისინი საბოლოოდ კარგავენ კონტაქტს ცხოვრების რეალურ, მათ შორის, სასკოლო მოთხოვნებთან“.

ძალადობის შინაარსის მქონე კომპიუტერულ თამაშებთან დაკავშირებით საქმე იქამდეც მივიდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ბაიერნის შინაგან საქმეთა მინისტრმა გუნტერ ბექშტაინმა, მოზარდების უკეთესად დაცვის მიზნით, მკვლელობის თემაზე კომპიუტერული თამაშების აკრძალვა (ასევე ალკოჰოლის მოხმარების აკრძალვა) მოისურვა: „როდესაც მოზარდები მრავალი საათის განმავლობაში ვირტუალურ სამყაროში მუდმივად ახორციელებენ ძალადობას, რეალურ ცხოვრებაში ძალადობისადმი მზაობისთვის დამბრკოლებელი ბარიერები მცირდება“, — აღნიშნავს ბექშტაინი.

თუმცა ექსპერტთა მოსმენის შედეგად მთავრობა ერთხმად გამოვიდა კომპიუტერული თამაშების აკრძალვის წინააღმდეგ. მათ მოზარდთა გაძლიერებული დაცვისთვის მშობლების უკეთესი ინფორმირება და პედაგოგთა გადამზადება მიიჩნიეს.

„იყავით უკეთესნი, ვიდრე დღეს ხართ“

„ღია წერილი ჩემს მეგობრებს“ – ამ სათაურით 1989 წლის 11 აპრილს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს გიორგი ჯიბლაძეს წერილი დაუწერია, რომელშიც აფხაზეთის კონფლიქტზე შეძრწუნებული საუბრობს და ქართველებსა და აფხაზებს გონიერებისკენ მოუწოდებს. ეს წერილი აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ქალიშვილმა მაია ჯიბლაძემ გადმოგვცა. მასში დასმული აქცენტები ამ დღეებში უნივერსიტეტში გამართულ აფხაზეთის კვირეულს ეხმიანება. გიორგი ჯიბლაძეს 10 მაისს 94 წელი შეუსრულდებოდა. ვფიქრობთ, მისი მოგონება, მისი წერილის გაცნობა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს იმ პიროვნების ანდერძის შესრულების აუცილებლობას, რომელიც მუდამ ემსახურებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას.

მაკა ლდოკონენი

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მწერალი, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე დაიბადა 1913 წლის 10 მაისს. 1933 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1933-1940 წლებში მოღვაწეობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში; 1944-46 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი იყო; 1950-53 წლებში – საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი; 1953-1960 წლებში – საქართველოს განათლების მინისტრი; 1960-61 წლებში – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; 1963-80 წლებში – საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი; 1959 წელს აირჩიეს რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1960 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1966 წელს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად; 1980 წელს კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტად.

გიორგი ჯიბლაძე გახლდათ გოგებაშვილის, უშინსკისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააფუძნა ესთეტიკის კათედრა; მის სახელთან არის დაკავშირებული ჟურნალისტიკის კათედრის შექმნა, რომლის პირველი გამგეც იყო წლების განმავლობაში.

იგი პედაგოგიკას ფილოსოფიის დარგად მიიჩნევდა

გიორგი ჯიბლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი თვალის გადავლებითაც გვხიბლავს თავისი მრავალისმომცველობით. არ არსებობდა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის მიმართაც მას გულგრილობა გამოეჩინა: სამეცნიერო მოღვაწეობა, ესთეტიკა თუ პედაგოგიკა, ფილოსოფია თუ ფილოსოფიის ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია თუ კრიტიკა, ქართული ჟურნალისტიკის პრაქტიკული და თეორიული საფუძვლები.

გიორგი ჯიბლაძე ქართული ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის თვალსაჩინო მკვლევარი იყო. მრავალტომეულში „კრიტიკული ეტიუდები“ მის მიერ ახლებურადაა გაშუქებული ქართველ პოეტთა და პროზაიკოსთა შემოქმედება. სახელოვანი მეცნიერის განსაკუთრებული საზრუნავი რუსთაველის ესთეტიკა გახლდათ და ამ საკითხს არაჩვეულებრივი გამოკვლევებიც მიუძღვნა: „პოეტური კადენციები რუსთაველზე“ და „რუსთაველი და თანამედროვეობა“.

ბატონი გიორგის შემოქმედებითმა თუ პრაქტიკულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში საშუალო და უმაღლესი განათლების პერსპექტივებიც – მან შექმნა „ახალი პედაგოგიური დისციპლინა“, რომელშიც დაგვანახა, რომ პედაგოგიური მოძღვრების გაგებისათვის აუცილებელია ამა თუ იმ მოაზროვნის ფილოსოფიური კრედოს გაზრება, წარმოჩენა – იგი პედაგოგიკას ფილოსოფიის დარგად მიიჩნევდა (მონოგრაფია „კამენსკის ფილოსოფია“). პედაგოგიკის მეცნიერებათა პრობლემების დამუშავებაში ასევე საყურადღებოა მისი წიგნი – „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“.

მას, როგორც ესთეტიკოსს, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ხელოვნების მიმართ, რამაც ასახვა ჰპოვა მის ნაშრომებში: „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“, „ხელოვნება და სინამდვილე“, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“.

მეგონა, ყველას მამა ასეთი რეჟიმით ცხოვრობდა...

მეცნიერების ძეგლები მარადიულად არსებობენ, თუმცა, ნებისმიერი მეცნიერი, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი ადამიანია საკუთარი განცდებით, გრძნობებით, ემოციებითა და ფასეულობებით. „მღელვარე მასპინძელი“ – ასე დაუხასიათებია გიორგი ჯიბლაძე გამოჩენილ რუს მწერალს, მიხეილ შოლოხოვს, როდესაც პირველად ჩამობრძანებულა საქართველოში და ბატონი გიორგის არაჩვეულებრივი, ემოციური სტუმართმოყვარეობით მოხიბლულა.

– უაღრესად პატიოსანი ადამიანი უდიდესი სიყვარულის ნიჭით, – ბატონი გიორგის სწორედ ამ თვისებებს გამოყოფენ ხაზგასმით მისი ოჯახის წევრები, ქალბატონი მაია ჯიბლაძე (გიორგი ჯიბლაძის უმცროსი ქალიშვილი) და ქალბატონი ლილი გეგელაშვილი (გიორგი ჯიბლაძის მეუღლე).

მასპინძლები ბატონი გიორგის წიგნსაცავში მიმიძღვებიან. ქალბატონი ლილი უნიკალურ ფოტოს მაჩვენებს, რომელზეც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი გამოშვების სტუდენტები, ლექტორები და თავად ბატონი გიორგია. უკანა ფონზე იმჟამინდელი ჟურნალ-გაზეთები მოჩანს: „კომუნისტი“, „ისკრა“, „პრავდა“, „იზვესტია“, „ზარია ვასტოკა“, „ცისკარი“ და „ქართული სალიტერატურო ჟურნალი“.

– განსაკუთრებულად უყვარდა თავისი აღზრდილები, თავისი მოსწავლეები, – იხსენებს ქალბატონი ლილი.

ვუახლოვდებით სამუშაო მაგიდას, რომელსაც საავადმყოფოში წასვლის წინ ცოცხალი ადამიანივით გამომშვიდობებია ბატონი გიორგი.

– გვთხოვა, ჩემს ოთახში ცოტა ხნით მარტო დამტოვეთო, შემდეგ მაგიდას მიუჯდა, ხელი გადაუსვა... ცოტა ხანს წყნარად იჯდა, მერე, თითქოს ემშვიდობებაო, დაარტყა ხელი და წავიდეთო, გვითხრა... უკან აღარ დაბრუნებულა. – მიამბობს ქალბატონი მაია.

მას მერე წლებმა განვლო, მაგრამ ქალბატონ მაის მიაჩნია, რომ მამა დღესაც მის გვერდით არის, ეხმარება – სხვაგვარად წარმოუდგენელია:

– ნებისმიერ ადამიანს საკუთარი მამა ხომ საუკეთესო ჰგონია, მაგრამ მამაჩემი მართლაც განსაკუთრებული გახლდათ, განსაკუთრებული სიყვარული შეეძლო. ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა. მაღალი სიცხე თუ გვქონდა, იმასაც უმალავდნენ, იმდენად განიცდიდა.

– სიყვარული მართლაც უსაზღვრო იცოდა, – საუბარში ერთვება ქალბატონი ლილი, – **მეორე შვილი უნდა გამეჩინა და უარზე დადგა, სიყვარული როგორ გავყოო. მაია რომ გაჩნდა, მანანას საწოლთან ჩემი მეუღლე დავინახე მუხლმოყრილი და თავჩამხობილი, მაპატიე შვილიკო, ისიც მიყვარსო, უხსნიდა უფროს ქალიშვილს.**

ოჯახის წევრები მუდამ გულნაკლულები ყოფილან ბატონი გიორგის მოუცლელობით. სახლში გვიან ბრუნდებოდა, სამსახურის შემდეგ, ხან შეხვედრებზე მიდიოდა, ხან ღონისძიებებს ესწრებოდა, სახლში დაბრუნებული ცოტა ხნით იძინებდა, ოთხ საათზე დგებოდა, მუშაობდა, დილით კი კვლავ ადრე მიდიოდა სამსახურში.

– მეგონა, ყველას მამა ასეთი რეჟიმით ცხოვრობდა. მუდამ გვენატრებოდა, მასაც ვენატრებოდით, შემოიხედავდა საძინებელში, გვკითხავდა, შვილიკო, წყალი ხომ არ გინდაო? ჩვენც ვთანხმდებოდით. მოგვიტანდა წყალს და მერე გვესაუბრებოდა, ასე მიგვაჩვია ღამ-ღამობით წყლის სმას. ახლა სასაცილოდ მეჩვენება, – ამბობს ქალბატონი მაია.

სამახსოვრო ნივთების მიმართ ბატონი გიორგი გულგრილი ყოფილა, წიგნები გახლდათ მისი მთავარი ფასეულობა. ხოლო თუ ვინმესთვის განსაკუთრებული საჩუქრის მიძღვნა სურდა, საათს ჩუქნიდა.

– ბავშვობა გაჭირვებაში გაატარა. თურმე ხშირად ოცნებობდა, საათი ჰქონოდა, ალბათ, ამიტომაც ჩუქნიდა სხვებს განსაკუთრებული დამოკიდებულებით საათს. ასევე მოკლებული გახლდათ დაბადების დღეების აღნიშვნას, ამიტომაც, თავისი თუ ახლობელი ადამიანების დაბადების დღეები მისთვის გამორჩეული დღესასწაული ყოფილა.

დღესაც, როდესაც ბატონი გიორგი ცოცხალი აღარ არის, მისი ოჯახის წევრები ყოველთვის აღნიშნავენ 10 მაისს – „გულნაკლულად რომ არ იგრძნოს თავი მათმა წინაპარმა“.

ქალბატონი მაია განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მამის ერთ თვისებას: უნივერსიტეტის ეზოში შესული, ბატონი გიორგი, უსათუოდ მოიხდიდა ქუდს, მიუხედავად იმისა, რომ იოლად ცივდებოდა და ეს მისი ჯანმრთელობისთვის მავნებელი გახლდათ.

მამის გარდაცვალებამ იმდენად დიდი ტკივილი და სევდა დაუტოვა ქალბატონ მაიას, რომ დღესაც უჭირს გადაშალოს, ან თუნდაც შეეხოს მის ნაშრომებსა თუ წერილებს. თუმცა, არსებობს ერთი წარწერა წიგნზე – „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“, რომელიც ბატონ გიორგის უმცროსი ქალიშვილისთვის უსახსოვრებია: **„ადამიანი მომავალში უფრო ლამაზი უნდა გახდეს, ვიდრე იგი დღეს წარმოგვიდგება. ჩემი წიგნი ამ მიზანს ისახავს და ვისაც ეს ვერ შეუგნია, მას ჩემი აზრებიც არ შეუსისხლხორცებია. იყავით უკეთესნი – ეს არის ჩემი დევიზი“,** – ეს სიტყვები ქალბატონი მაიასთვის განსაკუთრებით ფასეულია.

მამა ხომ არაჩვეულებრივი ყოფილა, მაგრამ ასევე დიდი სითბოთი გამოირჩეოდა, როგორც ბაბუა. მისთვის უდიდეს ტრაგედიად იქცა ქალბატონი მანანას ვაჟის, გოგი (გოგლა) ჩოგოვაძის გარდაცვალება. 1984 წლის 27 მაისს, დაახლოებით დღის სამი საათისათვის თბილისის ზღვაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ტიმ სევერინის ახალი „არგოს“ შესახვედრად მზადების დროს აფრიანი იახტის სამი წევრი, 18-19 წლის წარჩინებული სტუდენტები – გოგი გოჩას ძე ჩოგოვაძე, ძმები გოგიტა და კახა გურამის ძე ჩხაიძეები მაღალი ძაბვის დენმა იმსხვერპლა.

1988 წელს ბატონმა გიორგიმ თავისი შვილიშვილის ხსოვნას მიუძღვნა წიგნი „ჩემი მცირე ენციკლოპედია“, რომლისთვისაც შეაგროვა გოგლიკოს ნარკვევები, თავისუფალი თემები, დღიურები, ესკიზები, ეტიუდები, წერილები, სცენარები, ლექსები, სხვადასხვა ავტორთა აზრები თუ გამონათქვამები, რომლებსაც ახალგაზრდა ყმაწვილი აგროვებდა და რაც, დღეს, წარმოდგენას გვიქმნის მის შინაგან სამყაროსა და გემოვნებაზე.

– როდესაც გოგლიკო გარდაიცვალა, მამამ ცხოვრებაში პირველად შეწყვიტა მუშაობა, ორმოცი დღე საწოლში არ ჩაწოლილა, სავარძელში იჯდა დამწუხრებული. მართლა არაჩვეულებრივი იყო მამა, ღრმა თავისი გრძნობებით, თავისი განცდებით, – იხსენებს ქალბატონი მაია.

ჩვენ არ გვჭირდება ძიძგი-ძიძგი მამალო!

ქალბატონმა მაიამ აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ბოლო ნაშრომი

მაია ჯიბლაძე და გიორგი ჯიბლაძე

– **„ღია წერილი ჩემს მეგობრებს“** გადმომცა. ეს წერილი მას 1989 წლის 11 აპრილს დაუწერია, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულა, რაშიც 9 აპრილის ტრაგედიამაც დიდი როლი ითამაშა. წერილი ქალბატონ მანანას უპოვნია. ამ ერთგვარ აღსარებას ბატონი გიორგი უკვე ლოგინად ჩავარდნილი წერდა და, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრო მისი გამოქვეყნება. თუმცა, 80-იან წლებში საქართველოში შექმნილი რთული ვითარების ღრმა და ზუსტი ანალიზი, აფხაზეთში და მთელ რესპუბლიკაში მიმდინარე შედეგების საოცარი პროგნოზირება დღესაც გააოცებს მკითხველს და დაარწმუნებს წერილის აქტუალობაში.

ბატონი გიორგი, ისევე როგორც ნებისმიერი მართებულად მოაზროვნე ადამიანი, შეძრწუნებული და აფორიაქებული გახლდათ 80-იან წლებში აფხაზეთში შექმნილი ვითარებით. მისი დედულეთი სამეგრელო გახლდათ და ბავშვობიდან დაკავშირებული იყო აფხაზ ხალხთან. თავისი შეგნებული ცხოვრებით მუდამ ემსახურებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას. მისთვის წარმოუდგენელი იყო, თუ დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც **„აფხაზი ხალხის სახელით დააბეზღებდნენ მის მშობელ ერს, ზიზღითა და სიძულვილით ჯვარს დაუსვამდნენ ყოველგვარ ქართულს, საქართველოს ისტორიას და კულტურას“.**

აი, რას წერს იგი თავის წერილში:

„იმ ადამიანს ვგავარ, ვისაც საკუთარმა მეგობარმა ზურგში მახვილი ჩასცა. ჩვენ ახლა გვჭირდება არა ძიძგი-ძიძგი მამალო, არამედ იმ კეთილის, იმ კარგის, იმ ძმობის, იმ მეგობრობის გახსენება და გაძლიერება, რაც ათეული საუკუნეებია ერთი ცის ქვეშ ცხოვრებით შეგვიძენია და საბედნიერო ტრადიციად დაგვიმკვიდრებია. ქართველები და გენოციდი? ეს პირველად გავიგონე. თითქოს აფხაზი ხალხის ჩაგვრა ქართველების მხრივ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება! ეს მტკნარი სიცრუეა“.

ბატონი გიორგი სასტიკი წინააღმდეგი იყო აფხაზ და ქართველ ხალხს შორის შეტაკებისა, რადგან მშვენივრად ესმოდა, რომ შეტაკებას არა მარტო საშიში, არამედ საბედისწერო, მართლაც გამოუსწორებელი შეცდომები მოყვებოდა. ღია წერილს იგი იმედიანად ასრულებს და ყველას კეთილგონიერებისაკენ, ჰუმანურობისაკენ მოუწოდებს:

„მე დავამთავრე. მეტი აღარ შეიძლია. მთელი არსება დამსხვრეული მაქვს. აღარც სულია მშვიდად, აღარც გული. თვალწინ მიდგას უდანაშაულო მსხვერპლთა დასახჩრობილი სახეები, მაგრამ სასოებას არ ვკარგავ, რატომღაც ღრმად მჯერა, რომ გონიერება დაგვიბრუნდება, აღსდგება ჭეშმარიტება. ორივე მხარეში სატანური მოქმედებანი აღიგვებიან პირისაგან მიწისა და ცდომილნი შეინანებენ საბედისწერო შეცდომებს. რაც ვთქვი, სრულიად გულწრფელია. იმის იმედიცა მაქვს, რომ გონიერნი მიმიხვდებიან – Sapienti Sat“.

მკვლევარის წარმატების ბაზა არის მის მიერვე შექმნილი გარემო

მათემატიკოს თამაზ ვაშაყმაძეს 70 წელი შეუსრულდა

6 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის მონოგრაფია „დრეკად ანიზოტროპულ ფირფიტათა თეორია“ (შპინგერ-ფერლაგი-კლუერი, 1999) ცნობილმა სპეციალისტებმა (ა. ანტმანი, ფ. სიარლე) და ინტერნეტის უამრავმა საიტმა აღიარეს, როგორც თანამედროვე სახელმძღვანელო მათემატიკური მეთოდების განვითარებისა და მათი მექანიკის ამოცანებში რეალური და პერსპექტიული გამოყენების ხაზით. წიგნი განკუთვნილია მკვლევართათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და მაღალი კურსის სტუდენტებისთვის, რომლებიც მუშაობენ მექანიკაში, რიცხვით მეთოდებსა და კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფის საკითხებში, მათემატიკურ მოდელირებასა და ინდუსტრიულ მათემატიკაში, ვარიაციათა აღრიცხვასა და საინჟინრო ნაგებობათა პროექტირებაში.

თამაზ ვაშაყმაძის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 60-იანი წლებიდან იწყება. იგი არის ასორმოცამდე შრომის ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე.

შურთხია გეროშვილი

ბატონი თამაზი თვლის, რომ სამეცნიერო ასპარეზზე მისი წარმატება, პირველ რიგში, განაპირობა ოჯახმა, შემდეგ კი იმ პედაგოგებმა, სკოლაში თუ უნივერსიტეტში რომ ასწავლიდნენ.

თამაზ ვაშაყმაძე:

— დავიბადე პედაგოგის ოჯახში. მამა — სერგო ვაშაყმაძე მათემატიკოსი იყო. მან მოღვაწეობა სოხუმში დაიწყო. აფხაზეთში მისი თაოსნობით რამდენიმე ქართული სკოლა დაარსდა. იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში მოწაფეთა შორის მათემატიკური ოლიმპიადების ორგანიზების პიონერად ითვლება. 1954 წელს დავამთავრე თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლა. მათემატიკას მასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: თამარ ყაზახიშვილი და დავით პარკაძე, ფიზიკას — კოტე თოთიბაძე. ჩემზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ქალბატონმა ოლღა ჭეიშვილმა, რომელიც გეოგრაფიასთან ერთად ფსიქოლოგიასა და ლოგიკასაც გვასწავლიდა. ბუნებრივია, სწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გავაგრძელე.

დღევანდელი გადასახედიდან მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებთან შედარებით, ჩვენი უნივერსიტეტი ჩამორჩენილი იყო. სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქართველ მათემატიკოსთა საუკეთესო ნაწილი მაშინ რუსეთში მოღვაწეობდა: ილია ვეკუა, ანდრო ბიწაძე, კონსტანტინე მარჯანიშვილი, ვახტანგ გოგოლაძე, გრიგოლ ჯანელიძე... ამ მხრივ, მოსკოვი, ისევე როგორც თბილისი დღეს, თავკომბალას ჰგავდა, სადაც თითქმის ყველა დარგში საბჭოთა კავშირის ელიტარული ნაწილი იყრიდა თავს. ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი შალვა მიქელაძე იყო, რომლის მხარდაჭერით ხშირად ვიმყოფებოდი მოსკოვში. ჩემი სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება გახლდათ „სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები ჩვეულებრივი დიფერენციაციული განტოლებისთვის".

— ვინ მოახდინა გავლენა თქვენი სამეცნიერო თემატიკის შერჩევასა და მათემატიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში?

— მუშაობა დავიწყე ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, 1968 წელს კი თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინტიტუტში. ამ პერიოდში თანდათან დავუახლოვდი აკადემიკოს ილია ვეკუას თემატიკას, რაც განპირობული იყო ღრმა და ინტენსიური სემინარული მუშაობით. სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალა ბატონი ილია გახლდათ. ამ თანამშრომლობამ განაპირობა, რომ ჩემთვის ახალ დარგებში ცოდნის შეძენის გარდა, განვავრცე გამოთვლითი მათემატიკური მეთოდოლოგია დრეკადობის თეორიის ამოცანების შესასწავლად.

ამავე პერიოდში მჭიდროდ ვთანამშრომლობდი ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ იოსებ ვოროვიჩი და სოლომონ მიხლინი. ჰოლანდიაში გამოცემული წიგნი, ჩემს მშობლებთან ერთად, ვეკუასა და მიხლინის ნათელ ხსოვნასაც მივუძღვენი.

თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, ვთვლი, რომ მკვლევარის წარმატების ბაზა, თავდაუზოგავ და მიზანდასახულ შრომასთან ერთად, არის მის მიერვე შექმნილი გარემო. იგი გამოკვეთილად ინდივიდუალურია, შემოუსაზღვრელია დროსა და სივრცეში.

— როგორ შეაფასებდით საუნივერსიტეტო რეფორმას თქვენს სპეციალობასთან მიმართებაში?

— არ ვიცი, რა აზრის არიან ჩემი კოლეგები, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთვის მეცნიერების არსებითი შეფასების პერიოდი დგება. ეს პროცესი უკავშირდება ახალ ტალღას, რეფორმებს. ყველას კარგად ახსოვს, რომ ადრე პარტიული და ნომენკლატურული სიტუაციები მეცნიერის დაფასებას უკან სწევდა. ახლა, ყოველ შემთხვევაში, მათემატიკის მიმართულებით შედარებით დამოუკიდებლად გამოვიყურებით, მიუხედავად ამ დარგის მწირი დაფინანსებისა. ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა თუნდაც იმით, რომ ბოლო წლებში საზღვარგარეთ გამოიცა 15-ზე მეტი მონოგრაფია. ბევრმა მათგანმა საერთაშორისო სერთიფიკატიც მოიპოვა. როგორც კი ქართველი მეცნიერები მოსკოვისგან დამოუკიდებლები გახდნენ, საერთაშორისო ასპარეზზე მათი არეალი გაიზარდა. დღეს ისინი წარმატებით თანამშრომლობენ მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ცენტრთან.

ამასთან, მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში მათემატიკისა და ფიზიკის როლი უნდა გაიზარდოს, როგორც სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწის, ისე სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში ნიჭიერი ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიმართულებით. გარდა უმდიდრესი ტრადიციების შენარჩუნების საჭიროებისა, ადგილზე მაღალკვალიფიციური კადრების არსებობის გარეშე შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების წარმატებით ფუნქციონირება — ეს ჩვენთვის სასიცოცხლო და საპატიო ამოცანაა. უნდა მოხდეს, ასევე, სხვა, პირველ რიგში, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო დარგების მათემატიზაცია, რაც გულისხმობს ამ დისციპლინების საკუთრივ სამეცნიერო და ექპერიმენტული ხასიათის სამუშაოების ინტენსიფიკაციასთან ერთად მათ სრულყოფას მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა დახმარებითაც. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ტიპიურია ყოველი თანამედროვე უნივერსიტეტისათვის. ჩემი აზრია, რომ მათემატიკა ლოგიკასთან (პარტიული და სოციალური ხასიათის დოგმების გარეშე) ერთად იყოს მთელი უნივერსიტეტისთვის ფაკულტეტური კურსი. სასწავლო და სამეცნიერო პროგრამები შედგენილი უნდა იყოს სტუდენტთა შესაძლებლობების შესაბამისად. რაც მთავარია, სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტდეს შედარებით უკეთ მომზადებული სტუდენტობით.

— თქვენ თანამშრომლობთ კიევის უნივერსიტეტებთან, კონკრეტულად რას ითვალისწინებს თქვენი პროექტი?

— კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის და კიევის ავიაციის უნივერსიტეტების სამეცნიერო-სასწავლო თანამშრომლობა ქართულ უნივერსიტეტთან მართლაც მნიშვნელოვან ფაზაშია შესული. ძირითადი ხელშეკრულებების საფუძველზე კიევში გაიმართა მათემატიკოსთა შეხვედრა, რომელიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ინტასის, CRDF, NSF-ის ხაზით ერთობლივი განცხადების წარდგენისა და მომზადების გარდა, აღსანიშნავია „უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებთან არსებული სახელმწიფო-საკოორდინაციო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის“ შექმნა. ცენტრის მიზანია, ქვეყნებს შორის სტრატეგიულ დარგებში უახლესი ტექნოლოგიური პროექტებისა და დიზაინის შექმნა, მათი რეალიზაცია და დანერგვა. ასეთ დარგად, ამ ეტაპზე, მანქანათმშენებლობა და თვითმფრინავთმშენებლობა შეირჩა.

პოეზიის კვირეული

„გაქვავებულმა მზერამ“ ლევან ბრეგაძის პრიზი მოიგო

მაკა ლდოკონენი

21-24 მაისს კინოთეატრ „ამირანის“ ლიტერატურულ კაფეში ლიტერატურულ პორტალ ლიბ.ჯეს (www.lib.ge) ორგანიზებით თანამედროვე ქართული პოეზიის კვირეული ჩატარდა. იდეის ავტორები ჟურნალ „ლილ“-ის რედაქტორი გიორგი კეკელიძე და ახალგაზრდა პოეტი, პოეტური კონკურსის „წეროს“ წლევანდელი გამარჯვებული ნათია ნაცვლიშვილი იყვნენ. მსმენელს ოთხი დღის განმავლობაში საკუთარ შემოქმედებას წარუდგენდნენ: შოთა იათაშვილი, დათო ჩიხლაძე, ზურა რთველიაშვილი, გიორგი ბუნდოვანი, მაკა ჟორჟოლიანი, გაგა ნახუცრიშვილი, რატი ამაღლობელი, შალვა ბაკურაძე, რეზო გეთიაშვილი, ანა გრიგი, დათო რობაქიძე, ნიკა ჯორჯანელი, ბელა ჩეკურიშვილი, ზაალ ჩხეიძე, ქეთი ნინიძე, დიანა ანფიმიადი, თუთა ჩხეიძე, პოეტური გაერთიანებები „ლაბორატორია“ (პაატა შამუგია, ზურა ჯიშკარიანი, მიშა ბახსოლიანი) და „ვარდისფერი ავტობუსი“ (ალექსა ჩიღვინაძე, შოთა დიღმელაშვილი, დათო ყანჩიაშვილი, სანდრო ლორთქიფანიძე, ზაზა კოშკაძე), ასევე თავად კვირეულის ორგანიზატორები.

— კვირეულის მონაწილე პოეტებს თავისი ლექსები ლიბ.ჯეს პორტალზე აქვთ განთავსებული, ანუ ისინი, პირობითად, ერთ ოჯახში არიან გაერთიანებულნი. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიეთ ისინი. თანამედროვე პოეზიის კვირეულის ჩატარების იდეა კი შემთხვევით არ გაგვიჩნდა. უკანასკნელ ხანს მკაფიოდ გამოიკვეთა თანამედროვე ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი ახლებური ესთეტიკა, რაც მას არსებითად განასხვავებს, თუნდაც, 80-იანი წლების ქართული პოეზიის მახასიათებლისგან, — განცხადა ჩვენთან საუბარში გიორგი კეკელიძემ.

პოეზიის კვირეულის გახსნაზე ორიგინალური იდეით გამოვიდა კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე: მან საკუთარი პრიზი დააწესა, თუმცა, პირობები და საპრიზო ორმოცდაათი ლარი ოთხი დღის განმავლობაში საიდუმლოდ ინახებოდა საიმედოდ დალუქულ კონვერტში, რომელიც 24 მაისს გახსნეს. მასში ეწერა:

„კრიტიკოს ლევან ბრეგაძის პრიზი გადაეცემა საუკეთესო მინიმალისტური ლექსის ავტორს. ლექსი არ უნდა შეიცავდეს 5 სტრიქონზე მეტს და უნდა აკმაყოფილებდეს იმ პირობებს, რომლებიც შოთა იათაშვილმა ჩამოაყალიბა ჟურნალ „ალტერნატივის“ 2004 წლის მესამე ნომერში. გამარჯვებულს გამოავლენს პრიზის დამწესებელი“.

ამგვარი პირობები კი შოთა დიღმელაშვილის ლექსმა „სიცოცხლის ჰაიკუ ციკლიდან „საუბრები ჯიზასთან“ დააკმაყოფილა: **„ღრმად ჩაისუნთქე, გაქვავებული მზერა, სუიციდი უზრდელობაა, როგორც უხეირო საჩუქარის დაბრუნება“.**

საკუთარი პრიზი (55 ლარი) დააწესა ქალბატონმა ნინო ჩიკვაიძემაც (ფილოლოგი, სკოლა-პანსიონ „მთიების“ პედაგოგი).

— სამი პოეტი გამოვარჩიე: ირაკლი კაკაბაძე, დიანა ანფიმიადი და ქეთი ნინიძე. მომწონს მათი ლექსები. ეს ახალგაზრდები თავიანთ ცოდნას პატარებსაც უზიარებენ, მათი აღზრდით არიან დაკავებულნი და ასე ვთქვათ, პედაგოგებიც არიან. მართალია, პოეზიის კვირეულს გვიან შემოვუერთდი, მაგრამ ძალიან მომეწონა. ამდენი საინტერესო, ფაქიზი სულის ახალგაზრდა ვნახე ერთად შეკრებილი, რომელთაც მხარდაჭერა სჭირდება. გადავწყვიტე, მათ ყველანაირად შევუწყო ხელი. ახალგაზრდა პოეტებს ჩვენთან სკოლაში უსათუოდ მოვიწვევ, მოვაწყობთ ლიტერატურულ სალონებს, შევუქმნი თბილ გარემოს და პოეზიის კვირეულს მომავალ წელსაც გავუწევ დახმარებას, — აღნიშნა ქალბატონმა ნინომ.

კვირეულის ორგანიზატორები თავიდან პოეზიის ფესტივალის მოწყობას გეგმავდნენ, თუმცა, უსახსრობის გამო მასშტაბური ღონისძიების ჩატარება ვერ მოხერხდა და მხოლოდ ლექსების წარდგენით შემოიფარგლნენ.

— უცხოელი ავტორების ჩამოყვანაც გვქონდა ჩაფიქრებული, რაც ჩვენს ღონისძიებას გაცილებით საინტერესოს გახდიდა, დავამყარებდით საინტერესო კონტაქტებს. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელით, — განაცხადა ნათია ნაცვლიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ „არასაკმარისი სივრცე და შეუფერებელი პირობები“ პოეზიის კვირეულის ნაკლად ყველამ ერთხმად აღიარა, ლიბ.ჯემ პოეზიის მოყვარულთ მაინც საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთული დღეები აჩუქა. გარდა ამისა, ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ მათი იდეა უფრო მეტად განვითარდება, დაიხვეწება და მომავალ წელს პოეზიის კვირეული ტრადიციული, სამაისო პოეტური ფესტივალის სახეს მიიღებს!

რა... სად... როდის...

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ინსტიტუტის მეცნიერებმა მიაკვლიეს მიზეზს – თუ რატომ იტანენ რადიაციას ბაქტერიები უფრო იოლად, ვიდრე ადამიანები. როგორც ცნობილია, ბაქტერიათა ზოგიერთ სახეობას ათასჯერ უფრო მეტი რადიაციის დოზის ატანა შეუძლია, ვიდრე ადამიანს. მეცნიერთა აზრით რადიაციის ყველაზე დამღუპველი ზემოქმედება ცილების დაშლაა და არა დნმ-ის მოლეკულების, როგორც აქამდე ითვლებოდა. რადიაცია ჟანგვით პროცესებს იწვევს და ცილებს შლის, რის გამოც დნმ-ის „შეკეთება“ შეუძლებელი ხდება. ბაქტერიის უჯრედები მარგანეცის იონებს ჭარბად შეიცავს და როგორც გამოირკვა ცილებს ჟანგვისაგან სწორედ ეს იცავს. რადიაციული ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ სუპეროქსიდის რადიკალებს იგი წყალბადის პეროქსიდად გარდაქმნის, რაც თავის მხრივ, მემბრანის გზით უჯრედებიდან იოლად გამოდის. სწავლულთა აზრით, ამ აღმოჩენის წყალობით, მომავალში შესაძლებელია რადიაციაგამძლე ცხოველების შექმნა, რომლებიც ხანგრძლივ კოსმოსურ მოგზაურობაში მიიღებენ მონაწილეობას.



ჰოლანდიელმა მეცნიერებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ თურმე ნიკოტინი სწავლის უნარს და მეხსიერებას აძლიერებს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად მათ დაადგინეს, რომ ნიკოტინი აძლიერებს ტვინის ნეირონების სასიგნალო თვისებას, რომლის მეშვეობითაც ერთი ნეირონი, მეორე ნეირონს ამუშავების სიგნალს აწვდის. ამსტერდამის უნივერსიტეტის მეცნიერები ახალი წამლის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც მხოლოდ ნიკოტინის დადებითი თვისებები ექნება, მისი უარყოფითი, მავნე თვისებები კი განადგურდება. ექიმები წამლის გამოყენებას ალცგეიმერისა და პარკინსონის დაავადებების მკურნალობისთვის ვარაუდობენ.



ბრიტანელმა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ მათ კიბოს პერსპექტიულ წამალს მიაკვლიეს და იგი მალე ინტერნეტშიც შეიძლება გამოჩნდეს. წამალს სახელად „დიქლორაცეტატი“ დაარქვეს. რა თქმა უნდა, ასეთ ინფორმაციას სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. შეშფოთებულმა მედიკოსებმა მაშინვე განაცხადეს წამალს კლინიკური გამოცდა ჯერ არ გაუვლია, მხოლოდ თაგვებზე გამოვცადეთ და ასეთი ხმაური ნაადრევიაო. „დიქლორაცეტატი“ ზემოქმედებას ახდენს კიბოს უჯრედის იმ უნიკალურ თვისებაზე, რითაც იგი ენერგიას არა მხოლოდ მიტოქონდრიებიდან, არამედ მთელი უჯრედიდან იღებს. ეს პროცესი, რომელსაც გლიკოლიზი ეწოდება, ძლიერი ეფექტურობით გამოირჩევა და უამრავ ნახშირწყალს შთანთქავს. დღემდე ითვლებოდა, რომ კიბოს უჯრედები გლიკოლიზს მეტოქონდრიების დაზიანების გამო იყენებდნენ. მეცნიერებმა კი დაამტკიცეს, რომ მათი „შეკეთება“ სწორედ დიქლორაცეტატის საშუალებით შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ წამალს კლინიკური გამოცდა ჯერ არ გაუვლია, მისი შეძენის სურვილი უკვე 200 კაცმა გამოთქვა.



იტალიელი კინორეჟისორის, კლაუდიო მალაპონტის ახალი ფილმი „იერუსალიმიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით“, რეკლამის მიუხედავად, კინოთეატრებში მაინც არ გამოჩნდა. ფილმი იტალიის ეროვნული ტელევიზიის მხარდაჭერითაა გადაღებული და მასში იესო ქრისტე კოკა-კოლას მიირთმევს, რამაც, ამ სასმელის მწარმოებელი კომპანიის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ფილმში მოთხრობილია ერთი ახალგაზრდა კაცის ისტორია, რომელიც პროფესიით რეკლამის სპეციალისტია. პირადმა ტრაგედიამ მას სამსახური და ოჯახი დააკარგვინა, რის შემდეგაც იერუსალიმში გაფრინდა, სადაც ბიბლიური გარეგნობის მქონე უცნობ კაცს გადაეყარა და ფილოსოფიური საუბარი გაუბა. ცოტა ხნის შემდეგ, მას კოკა-კოლა შესთავაზა და როცა დაინახა როგორ სვამდა, ირონიულად წამოიძახა: „ღმერთო! აი, მესმის რეკლამა!"

კოკა-კოლას აღშფოთებულმა კომპანიამ ფილმიდან ამ ფრაგმენტის ამოღება მოითხოვა. იმ მიზეზით, რომ რეკლამა მათთან არავის შეუთანხმებია. ამ დროისთვის კი, ფილმს ბუენოს-აირესის კინოფესტივალის შვიდი პრიზი უკვე მოპოვებული ჰქონდა. კონფლიქტის გამო, მისი პრემიერა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ავსტრალიაში წლის საუკეთესო საამშენებლო დიზაინი დაასახელეს. იგი აღმოჩნდა მელბურნის ახლად გადაკეთებული სადგური, რომელმაც თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტალღისმაგვარი სახურავი, რომელიც პლატფორმას 24 მეტრის სიმაღლეზე ფარავს და 37.000 კვადრატულ მეტრს მოიცავს. ახლად გადაკეთებული სადგური, რომელსაც „სამხრეთის ჯვარს“ ეძახიან, ავსტრალიის ერთერთ ღირსშესანიშნაობად უკვე ჩაითვალა.

ყოველთვის უვნებელია თუ არა მობილური ტელეფონი? ამ შეკითხვას გაშლილ სივრცეში ცალსახა პასუხი აქვს – უვნებელია. რაც შეეხება დახურულ სივრცეს, ეს მეცნიერთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. იაპონელმა მეცნიერებმა წინასწარი გაანგარიშებით დაადასტურეს, რომ დახურულ სივრცეში ამუშავებული მობილური ტელეფონები ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის სერიოზულ საშიშროებად შეიძლება გადაიქცეს. ამ დროს მიკროტალღების ანარეკლები და ინტერფერენციები ისეთი ინტენსიური გამოსხივებით ვრცელდება, რომ ღია სივრცისას ათასჯერ აღემატება. ამგვარად, დახურულ სივრცეში ჩართული აპარატის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ქვეშ ნებისმიერი გვერდით მდგომი ადამიანი შეიძლება მოჰყვეს.

უოლტ დისნეის ერთადერთმა ქალიშვილმა, დაჯგუფება „ჰამასის“ მცდელობა – მიკი მაუსი სიძულვილისა და ძალადობის სიმბოლოდ გადააქციოს, უარყოფითად შეაფასა. შეგახსენებთ, რომ „ალ-აკსის“ ტელეარხზე, რომელსაც სწორედ „ჰამასი“ აკონტროლებს, საბავშვო გადაცემა „მომავალი პიონერები“ გამოჩნდა, სადაც პალესტინელ ბავშვებს ჯიჰადის საფუძვლებს სწორედ მიკი მაუსის ორეული – თაგვი ფარფური ასწავლის. სამოცდაცამეტი წლის დიანა დისნეი-მილერმა ეს პირად შეურაცხყოფად ჩათვალა და ბავშვებისთვის უსაყვარლესი გმირის საშუალებით სიძულვილის სწავლება „არაადამიანურ“ მოვლენად გამოაცხადა.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

) საკონტაქტო ტელეფონები:

რექტორის მისაღები	22-51-07
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	22-35-01
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	22-32-91
საერთო განყოფილება (კანცელარია)	23-39-16; 22-59-44
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	22-78-99; 22-54-50
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი	22-56-79
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	22-36-19
საფინანსო სამსახური	91-24-95
სტუდენტური თვითმმართველობა	25-12-38
სამუზეუმო სამსახური	29-08-42
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	25-08-13; 25-36-18

ფაკულტეტების დეკანატები:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-08-07
ჰუმანიტარული ფაკულტეტი	22-21-08
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	29-05-94
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	30-45-36
იურიდიული ფაკულტეტი	22-37-10
მედიცინის ფაკულტეტი	94-34-54

რედაქტორი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
) 22 10 34
www.tsu.ge
@ newspaper@tsu.ge

ანონსი

საბავშვო უნივერსიტეტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია

2007 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საბავშვო უნივერსიტეტის“ იდეის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართება ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას საშუალო სკოლების მოსწავლეები მიიღებენ. მოსწავლეები დაათვალიერებენ უნივერსიტეტის პირველ, მეორე და მეექვსე კორპუსებს, სხვადასხვა ფაკულტეტებზე ისინი მოისმენენ ლექციებს, გაესაუბრებიან ლექტორებსა და მაგისტრანტებს, დაათვალიერებენ მეექვსე კორპუსში განთავსებულ სტუდიებს, მეორე კორპუსში - პლანეტარიუმს, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებსა და თვალსაჩინო ცდებში.

მართალია, „საბავშვო უნივერსიტეტის“ კონცეფცია ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ მისი ძირითადი სტრატეგია უკვე განსაზღვრულია, რაც ერთადერთ მიზანს ემსახურება - უნივერსიტეტმა მოსწავლეების ნაღები, ინტელექტუალური ნაწილი მოიზიდოს.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფციაში, რომელიც რექტორმა გიორგი ხუბუამ მისი არჩევის დროს წარმოადგინა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „არსებობს მუშაობის უამრავი ფორმა, რომლითაც შეიძლება მოსწავლეები მოვიზიდოთ“. გიორგი ხუბუამ რექტორატს სკოლებთან კონტაქტების გამყარებისაკენ მოუწოდა. უნივერსიტეტის რექტორის საპროგრამო წერილში კი მან საბავშვო უნივერსიტეტის შექმნის იდეა წამოაყენა:

"ვფიქრობ, რომ საბავშვო უნივერსიტეტის ჩამოყალიბება პრობლემა არ უნდა იყოს. განათლების სამინისტრო ამ საკითხით უკვე დაინტერესდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსვლის სურვილი სკოლის მოსწავლეებსაც აქვთ. ამიტომ მოვიწვიოთ ბავშვები და მათ ლექციები ჩავუტაროთ."

1 ივნისს სკოლის მოსწავლეები უნივერსიტეტის შენობაში საინტერესო და შემოქმედებითად დატვირთულ დღეს გაატარებენ.

2007 წელი – დიასპორის წელია
თსუ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს მასპინძლობს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2007 წლის 22 თებერვლის 127-ე ბრძანებულებით 2007 წელი საქართველოში დიასპორის წლად, 27 მაისი კი „ქართული დიასპორის დღედ“ გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ორმოცამდე ქვეყანაში მცხოვრებ 140 წარმატებულ ქართველს მასპინძლობს. პროგრამის ფარგლებში არაერთი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმა: 26 მაისს სტუმრები სასტუმრო „თორთან“ შეიკრიბნენ, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმში მიიღეს მონაწილეობა, საღამოს კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „პატრინოტის“ გალა კონცერტს დაესწრნენ.

27 მაისს თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ორგანიზებით საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ფორუმი „საქართველო და დიასპორა“. ფორუმი დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. გამოიკვეთა მიგრაციისა და დიასპორის თემებთან დაკავშირებული პრობლემები. მონაწილეებს წარუდგინეს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისათვის შექმნილი საინფორმაციო საიტი www.diaspora.ge და ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მუსიკოსები, მეცნიერები, სპორტსმენები, ბიზნესმენები და ქართული სათვისტომოების ხელმძღვანელები, სასულიერო პირები კვიპროსიდან და სოჭიდან. თბილისს რუსეთის ფედერაციიდან საკმაოდ ხალხმრავალი დელეგაცია სტუმრობდა.

დღეს, 28 მაისს, 12 საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ფორუმის მონაწილეთა საზეიმო მიღება. 17 საათზე კი სტუმრები თბილისის ებრაულ სათემო სახლში არიან მიწვეულნი.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა თამარ მახარაშვილმა განაცხადა, რომ ამჟამად ორი მიმართულებით მიმდინარეობს მიგრაციის პროცესების მართვა: ისტორიულ მიზეზთა გამო საუკუნეების განმავლობაში საზღვარგარეთ დამკვიდრებულ ქართველებთან კულტურული ურთიერთობები მყარდება; მძიმე სოციალური პირობების გამო ბოლო წლებში გახიზნულ თანამემამულეებს კი სამშობლოში დაბრუნებაში ეხმარებიან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უახლოეს მომავალში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სახელწოდებას შეიცვლის და მიგრაციისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამინისტროდ გადაკეთდება.

30 მაისს მაღლივ კორპუსში საქართველოში მიგრაციის პრობლემებზე კონფერენცია გაიმართება

30 მაისს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) თსუ მაღლივ კორპუსში აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე ,,მიგრაციის პრობლემები საქართველოში“. კონფერენციაზე მოწვეულნი არიან სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიგრაციის პრობლემით დაინტერესებული სპეციალისტები, უმაღლესი სასწავლებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე უკვე 4 წელია ფუნქციონირებს მიგრაციის კვლევის ცენტრი, რომელსაც ამ მიმართულებით არაერთი კვლევა და შრომა დაუგროვდა. ცენტრის მუშაობაში სტუდენტი-მკვლევარები არიან ჩართულნი.

კონფერენციაზე დარიგდება მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ მომზადებული 2007 წლის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული – „მიგრაცია“.

მოხსენებებს წაიკითხავენ – მიგრაციის მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და რეგულირების მექანიზმების შესახებ, სტუდენტი ახალგაზრდობის გარე სასწავლო-შრომითი ემიგრაციის პრობლემების თაობაზე, საქართველოში შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების შეფასებაზე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებაზე მიგრაციის გავლენის თემაზე, მიგრაციის ეკონომიკურ და ეთნიკურ ასპექტებზე და სხვა. კონფერენციაზე მეცნიერებისა და ექსპერტების გარდა მოხსენებებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM-ის წარმომადგენლებიც წაიკითხავენ.